პროლეტარელებო ყველა ხეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 146 (26487) — კვირა, 25 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

28 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის განგრძობასთან დაკავშირებული საკითხები. განიხილეს და მოიწონეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. ლუკიანოვის ინფორმაციის გამო განიხილეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის მიცემულ დავალებათა შესრულებისათვის მუშაობის ორგანიზაციის საკითხი. პრეზიდიუმმა მოიწონა ეს წინადადებანი და შეიტანა ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

შემდეგ პრეზიდიუმმა განიხილა პროექტი კანონისა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მათი ორგანოების აქტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილება ეს კანონპროექტი შეიტანონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

მოისმინეს და მხედველობაში მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ე. მ. პრიმაკოვის ინფორმაცია სსრ კავშირის მთავრობის და სხვა სახელმწიფო ორგანოების შემადგენლობაში კანდიდატურების განხილვისა[illegible] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და პალატების მუდმივი კომისიების [illegible] — [illegible]

ახორციელებს რა თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისაგან შექმნა ჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა კომისიები.

ეროვნებათა საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის მუდმივი კომისიის წარდგენით შეიქმნა დეპუტატთა კომისია თურქ-მესხი მოსახლეობის პრობლემებზე.

განიხილეს აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

მეგობრული შეხვედრა

28 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს, რომელიც ხანმოკლე სამუშაო ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში.

საუბარი დაიწყო ინფორმაციის გაზიარებით. მ. ს. გორბაჩოვმა ტ. ჟივკოვს გააცნო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობის შედეგები და ყრილობის უწოდა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების უთვალსაჩინოესი მოვლენა, პოლიტიკური რეფორმის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. მძლავრი იმპულსი მიენიჭა პოლიტიკურ პროცესს, მასში ჩაება მილიონობით საბჭოთა ადამიანი, რომლებიც თვალს ადევნებდნენ ხელისუფლების ახალი უმაღლესი ორგანოების მუშაობას. რა თქმა უნდა, თვით დეპუტატები, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად იძენენ გამოცდილებას, რაზეც შეგიძლია ვიმსჯელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კომისიების ამჟამად მიმდინარე სხდომებით.

გულარხეინობა იქნებოდა მიგვეჩნია, თითქოს უკვე გვქონდეს საზოგადოების განვითარების ყველა მიმართულების დასრულებული კონცეფცია. ამ კონცეფციის შესამუშავებლად კიდევ ბევრი გარჯა გვმართებს. მაგრამ მთავარი რგოლი პარტიამ სწორად განსაზღვრა — ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის, მთელი სულიერი ცხოვრების დემოკრატიზაცია, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის შექმნა, ურომლისოდაც დემოკრატია შეიძლება ანარქიად გადაიქცეს. ჩვენ ახლა ბევრი რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ისე ეროვნებათშორისი ურთიერთობის დარგში. მაგრამ თუ შეეძელით საკუთრებისაგან მშრომელთა გაუცხოების დაძლევა, სახელმწიფო საქმეთა ნამდვილ მონაწილეებად და განმკარგულებლებად მათი გადაქცევა, მაშინ გარდაქმნა მტკიცედ დაწინაურდება.

ტ. ჟივკოვმა თქვა, რომ ბულგარელი კომუნისტები, ქვეყნის ფართო საზოგადოებრობა ცხოველი ინტერესით ადევნებენ თვალს ყოველივეს, რაც სსრ კავშირში ხდება, ვინაიდან კარგად ესმით, რომ ამ პროცესებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნებისათვის, საერთაშორისო მდგომარეობის მთელი განვითარებისათვის. ბულგარეთში ასევე ხორციელდება ფართო მასშტაბის ეკონომიკური გარდაქმნები, რომელთა საკვანძო მომენტია ფირმების შექმნა. ეს სხვა არა არის რა, თუ არა თავისებური კოოპერატივი, რომელსაც ფართო უფლებები და შესაძლებლობანი ენიჭება. ნავარაუდევია, რომ პერსპექტივაში ფირმები იკისრებენ მთელი იმ ეკონომიკური საქმიანობის დაახლოებით 80 პროცენტს, რომელსაც დღესდღეობით მინისტრთა საბჭო და სამინისტროები არეგულირებენ. წაახალისებენ აგრეთვე შეჯიბრებას ფირმებს შორის.

ტ. ჟივკოვმა ილაპარაკა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეფორმის განსახორციელებლად დასახულ ღონისძიებებზეც, რომლებშიც ითვალისწინებენ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების რეფორმების ურთიერთკავშირის აუცილებლობას.

ორი პარტიის ხელმძღვანელობა ყურადღება მიაპყრეს სსრ კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების ბევრ მსგავს მომენტს. ამავე დროს აღნიშნეს, რომ უპირსპექტივო და სახიფათოა ვისიმე გამოცდილების გადმოღება ქვეყნის ეროვნულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. ყველი მომე პარტია და სახელმწიფო სავსებით დამოუკიდებელია, საზოგადოებრივი განვითარების ფორმების, მოამწიფებული გარდაქმნების ამოცანებისა და ტემპის განსაზღვრაში. ძიების ფართო სპექტრი, გადაწყვეტილებათა მრავალფეროვნება სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის განძია. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილების ორმხრივ შესწავლას, საკუთარი საქმიანობის ანალიზის შედეგების გულახდილ განხილვას.

საბჭოთა კავშირ—ბულგარეთის თანამშრომლობის საკითხთა განხილვისას აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო თამამად ვიაროთ კოოპერაციის, მათ შორის, ერთობლივი ფირმების შექმნის გზით. მხარეები მორიგდნენ, რომ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კონკრეტულ ამოცანებს განიხილავენ ბულგარეთში ნ. ი. რიჟკოვის მომავალი მოგზაურობის დროს.

მ. ს. გორბაჩოვმა და ტ. ჟივკოვმა დაადასტურეს, რომ ერთმანეთს ემთხვევა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ინტეგრაციული თანამოქმედების მექანიზმის რადიკალური განახლებისადმი პრინციპული მიდგომები. მათ მხარი დაუჭირეს ისეთი პირობების შექმნას, რომლებშიც სოციალისტურ ინტეგრაციას ახალი სტიმულები და სივრცე შეექმნებოდა, ყირმოდ , ფართოდ გამოიყენებდნენ სასაქონლო-ფულად ინსტრუმენტებს, სრულყოფდნენ თანამშრომლობის საკრედიტო-საფინანსო მექანიზმს.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხელმძღვანელებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ იზრდება სოციალიზმის ქვეყნების წევრი, მათ შორის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში, — საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის პროცესებში, რომლებიც თანდათან ძლიერდება უწინარესად, ევროპის კონტინენტზე. მათ ეკონომიკის მომავალი კეთილდღეობის საწინდრად მიიჩნიეთ ორმხრივი ნდობისა და უშიშროების განმტკიცება შეიარაღებული ძალებისა და ყველა სახეობის შეიარაღების რადიკალური შემცირების, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დარგებში მრავალმხრივი და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. ამასთან დაკავშირებით ბულგარეთის მხარემ აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მ. ს. გორბაჩოვის ამასწინანდელ ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იქ ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებას.

მ. ს. გორბაჩოვმა ბულგარეთის კომუნისტებს, მოძმე ბულგარელ ხალხს უსურვა წარმატებანი თავიანთი სოციალისტური სამშობლოს განახლებაში.

საუბარმა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობისათვის ტრადიციულ გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲗᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს, ხელში იღებს ქვეყნის მთელ უმაღლეს სახელმწიფო ძალაუფლებას. ხალხმა დეპუტატებს თავისი ბედი მიანდო, და არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო მოვალეობა, ვიდრე ხალხის განაწესის შესრულებაა.

I.

ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲚᲐ და განიხილა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება მთავრობის სამოქმედო პროგრამის შესახებ, ყრილობა ადასტურებს, რომ ქვეყანას თავის ისტორიაში დაუდგა უაღრესად პასუხსაგები მომენტი, რომელზეც დამოკიდებულია გარდაქმნის ბედი, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მომავალი.

პარტიის ინიციატივით წამოწყებულმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ღრმა გარდაქმნამ ქვეყანა უნდა გამოიყვანოს უაღრესად სერიოზული კრიზისიდან, რომელიც იგი აღმოჩნდა 80-იანი წლების დამდეგს, საბოლოოდ მოიმოროს ყოველივე, რაც აფერხებს მის განვითარებას, მაანავოს სოციალიზმს თანამედროვე იერსახე, გადაუშალოს საბჭოთა საზოგადოებას საზოგადოებრივი პროგრესის ახალი ჰორიზონტები.

განახლების ტალღამ გამოაღვიძა და ფეხზე დააყენა მთელი ხალხი. მიმდინარეობს, თუმცა ძნელად, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების ათვისების პროცესი პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში. პირველ ნაბიჯებს დგამს ეკონომიკური რეფორმა. დაიწყო პოლიტიკური სისტემის რეკონსტრუქცია. ექმნება საფუძველი სამართლებრივ სახელმწიფოს. ღრმა ცვლილებები მიმდინარეობს საზოგადოებრივ შეგნებაში. ვითარდება მოსახლეობის ყველა ფენის პოლიტიზაციის ბობოქარი პროცესი.

ყრილობა, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს, მხარს უჭერს განუხრელ წინსვლას გარდაქმნის გზით. ამასთანავე ყრილობა ხაზს უსვამს, რომ გარდაქმნის პროცესი ძნელად, წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს, ქვეყანაში კვლავ ლეთული და დაძაბული მდგომარეობაა. მას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი კრიზისისათვის. საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებას აბრკოლებენ მუშაობის მოძველებული მეთოდები და სტრუქტურები, აზროვნების სტეროტიპები, რომლებიც ღრმად არის გაჯდარი. ერთი მხრივ, გვიხდება კონსერვატიული ძალების წინააღმდეგობის დაძლევა, მეორე მხრივ, თავს იჩენს რადიკალური განწყობილება, გაისმის მოთხოვნები, ობიექტური პირობების აუგარიშგაუწევლად, ერთი ხელის დაკვრით გადაჭრათ ყველა პრობლემა.

გარდაქმნამ დიდი იმედები ჩაგვისახა, მაგრამ ჯერაც არ მოუტანია, მეტადრე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, სასურველი შედეგები. ზოგიერთი პრობლემა გამწვავდა კიდეც. საზოგადოებაში გაძლიერდა სოციალური დაძაბულობა. წარმოებაში დასახულ პოზიტიურ ცვლილებებს არარად აქცევს საფინანსო სისტემის მოშლა, ბაზრის წონასწორობის დარღვევა, მრავალგვარი საქონლისა და მომსახურების დეფიციტის ზრდა. განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, კვლავ მწვავედ დგას სურსათისა და ბინის პრობლემები. რთულდება ეკოლოგიური ვითარება. ყოველივე ეს დაღს ასვამს ცხოვრების, მეტადრე, მოსახლეობის მცირეხელფასიანი ფენების არსებობის პირობებს.

ყოვნდება სახალხო მეურნეობის შემობრუნება ადამიანის საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ. არ იგრძნობა სერიოზული ძვრები წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლებაში. გრძელდება კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის ზრდა.

კომპლექსური მიდგომის უქონლობის, არათანმიმდევრული და გაუბედავი მოქმედების გამო სერიოზული შეფერხებანია ეკონომიკური რეფორმის გატარებაში, ახალი სამეურნეო მექანიზმის ფორმირებაში. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, რომელიც ყოველხაირად ცდილობს მოერგოს გარდაქმნის პირობებს, ქვლევინდებოდეს ბოჭავს ეკონომიკურ განვითარებას. მმართველობის ვეებერთელა მოუქნელი აპარატი გზას უხშობს სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობისა და ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის სხვა პროგრესული ფორმების დანერგვას, მასების ინიციატივას. არ დაგვიძლევია შრომის ანაზღაურების გათანაბრება, სხვათა მოიმედობა, კუთხურობა და უწყებრიობა, ჯგუფობრივი ეგოიზმი.

სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით პოლიტიკური რეფორმის, საზოგადოების დემოკრატიზაციის გზაზეც. საბჭოებსა და მათი აპარატებს ეკისრებოდა ორგანობის მუშაობაში ნელა მიმდინარეობს ხელმძღვანელობის ახალი ფუნქციონალი და მეთოდების ათვისება, არ ითვალისწინებენ მასების საზოგადოებრივი აქტიურობის მზარდ დონეს, ჯეროვნად არ აფასებენ მშრომელების თვითმოქმედ მოძრაობათა პოტენციურ შესაძლებლობებს. არ წყდება ადმინისტრირების პრაქტიკა საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კოოპერატივებისა და მოიჯარეების მიმართ.

ყრილობას უაღრესად საგანგაშო ფაქტად მიაჩნია დისციპლინისა და პასუხისმგებლობის შესუსტება, ქვეყანაში სამართალდარღვევებისა და დანაშაულობის ზრდა. დიდი ნაკლოვანებანია სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში ორგანიზებული დანაშაულობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ.

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ვითარებაში მთელი სიმძაფრით გამოვლინდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემები, რომლებიც წლების მანძილზე ვროვდებოდა. გაჩნდა საშიში კერები კონფლიქტებისა, რომლებიც სერიოზულ ექსცესებად იქცევა ხოლმე. თავი იჩინა მრავალი წლის დეფორმაციისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის გაუკუღმართების, ქვეყნის ერთა და ეროვნებათა კანონიერი ინტერესების ხანგრძლივი უგულებელყოფის შედეგებმა, არსებითი გადახრებია მთელი რიგი რესპუბლიკებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, უმართავია მიგრაციული პროცესები. წამოტივტივდა ეროვნული ენებისა და კულტურების, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ხალხების განვითარების ბევრი გადასაჭრელი პრობლემა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხმა — მუშათა კლასმა, გლეხობამ და ინტელიგენციამ, ყველა სოციალურმა ფენამ, ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა და ეროვნებამ — სახალხო დეპუტატთა არჩევნებში მთლიანად დაუჭირა მხარი გარდაქმნის პოლიტიკას. ამასთანავე ამომრჩევლებმა მტკიცედ მოითხოვეს წარვმართოთ იგი უფრო მტკიცედ და თანმიმდევრულად.

ყრილობა აკადემიკოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და მის მიერ შექმნილ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და განახორციელოს ამომწურავი ღონისძიებანი, რათა დამკვიდრდეს და განვითარდეს დაწყებული პოზიტიური ცვლილებები, შეჩერდეს ნეგატიური ტენდენციების ზრდა, უმაღლეს ვადებში გადაიჭრას გადაუდებელი პრობლემები და მტკიცე საფუძველი შეექმნას ქვეყნის შემდგომ წინსვლას პროგრესის გზით.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკისრათ გულდასმით გაანალიზონ და განაზოგადონ დეპუტატთა მიერ ყრილობაზე გამოთქმული კონკრეტული წინადადებანი, გითვალისწინონ ისინი საკანონმდებლო პრაქტიკაში, მთავრობის, უწყება-სამინისტროების საქმიანობაში, წარმოუდგინონ ამის შესახებ ინფორმაცია სახალხო დეპუტატებს.

II.

საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის უზენაესი არსია საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის მატერიალური კეთილდღეობა, სულიერი განვითარება და ზნეობრივი ჯანმრთელობა. ყრილობა სახელმწიფო ორგანოებისაგან მოითხოვს გადაიტანონ მთელი ყურადღება ადამიანზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომ დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციაზე, მის სულიერ განახლებაზე, სოციალური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრულ გატარებაზე.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრების დონის ძირეულ ამაღლებას მივაღწიოთ, საჭიროა დრო, წარმოების ეფექტიანობის სერიოზული ზრდა, შრომითი კოლექტივების, სამეურნეო ორგანოების, მთელი საზოგადოების ყოვლიდღიური აღმშენებლობითი ძალისხმევა, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს.

ყრილობა ავალებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მიიღონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა უკვე უახლოეს ხანს მოხდეს სიტუაციის სტაბილიზაცია სამომხმარებლო ბაზარზე, აღმოფხვრას უპირველესი საჭიროების საქონლისა და მომსახურების დეფიციტი. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 1990 წლის 1 იანვრისა, სანამ ახალ საპენსიო კანონს მივიღებდეთ:

— მოიმატოს მოხუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობა ყველა მოქალაქეს მინიმალური ხელფასის დონემდე, ამასთან აღიკვეთოს განსხვავება კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფაში;

— მოიმატოთ პენსიების მინიმალური ოდენობა 1-ლი და მე-2 ჯგუფის ინვალიდებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივებსა და შვილებს, და გათანაბრებულ იქნენ ისინი შეღავათების მხრივ დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან;

— მიენიჭოთ მედიკამენტების უფასოდ შეძენის უფლება დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივებსა და შვილებს, აგრეთვე შიდასაქალაქო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება ომის მონაწილეებს, ომის წლებში თავდადებული შრომისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირებს;

— აღმოიფხვრას ავადმყოფთა მოგზაურობაში ანსებული განსხვავებანი სამედიცინო დაწესებულებებში, აგრეთვე საუწყებო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში;

— გაუუქმდეთ პენსიების გაცემის შეზღუდვები მუშებად და ოსტატებად მომუშავე პენსიონერებს, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ყველა ინვალიდ პენსიონერს, მიუხედავად შრომის ანაზღაურების ოდენობისა.

კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხებზე, საფინანსო უზრუნველყოფის წყაროების ჩათვლით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უნდა შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად სამი თვის ვადაში.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის სოციალური პირობების მთელი კომპლექსის გაუმჯობესების მიზნით ყრილობა ავალებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მათი კომპეტენციის შესაბამისად განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

— დაჩქარონ სასურსათო პრობლემის გადაჭრა თანამედროვე აგრარული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, რომელიც მოიცავს სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ღრმა გარდაქმნას, სოფლად ცხოვრების პირობების ძირეულ გაუმჯობესებას, აგროსამრეწველო წარმოების მატერიალური ბაზის განმტკიცებას;

— უზრუნველყონ მაღალი ხარისხის სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების წარმოების სწრაფი ზრდა, შექმნან საამისოდ შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურები. ჩაებან ამ მუშაობაში თავდაცვითი მრეწველობის, მძიმე და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები;

— არსებითად გააფართოონ საბინაო, უწინარეს ყოვლისა, კოოპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობა. გამოთავისუფლონ ამ მიზნით სამშენებლო ორგანიზაციათა საჭირო სამძალავრენი და მატერიალურ-საფინანსო რესურსები საწარმოო მშენებლობის შემცირების ხარჯზე. მიიღონ ზომები სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განსამტკიცებლად და საშენ მასალათა გამოშვების გასაზრდელად, ქალაქებისა და სოფლების არქიტექტურული იერსახის ძირეული გაუმჯობესების, არსებული საცხოვრებელი ფონდის, კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის უზრუნველსაყოფად;

— მიაღწიონ ჯანდაცვისა და წამლებით მოსახლეობის მომარაგების ხარისხის არსებითს გაუმჯობესებას. გამოძებნონ სახსრების დამატებითი წყაროები და რაციონალურად აითვისონ უკვე გამოყოფილი რესურსები თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების, აგრეთვე თანამედროვე სამკურნალოწამალო საშუალებებისა და სამედიცინო ტექნიკის გამომშვები საწარმოების ქსელის გასაფართოებლად; მთანიჭონ სამედიცინო ტექნიკის წარმოებას სახალხო მოხმარების პრიორიტეტული საქონლის სტატუსი, ყოველნაირად გახადონ რენ მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც ჯანმრთელობის გაკაჟებისა და ავადმყოფობის შემცირების ეფექტიანი საშუალება;

განიხილონ შვებულების მინიმალური ხანგრძლივობის 24 სამუშაო დღემდე მომატებისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვთა მოვლისათვის შვებულების მიცემის შესაძლებლობის საკითხი;

— გააუმჯობესონ დამოუკიდებელ შრომითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩაბმის სოციალური, ეკონომიკური და სხვა პირობები; შეიმუშაონ და განახორციელონ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის საფინანსო, სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებანი. მოამზადონ და შეიტანონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში განსახილველად ახალგაზრდობის მდგომარეობის საკითხი;

— დაიჩქარონ იმ მრავალი მწვავე პრობლემის გადაჭრა, რომლებსაც ქალება აწყდებიან. შეიმუშაონ სსრ კავშირში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამა, მათ შორის, ოჯახის, დედა-შვილობის, ქალთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის, საოჯახო მეურნეობისა და ყოფის შემსუბუქების საკითხები;

— მეტი ყურადღება დაუთმონ ომისა და შრომის ვეტერანებს, ავღანეთის ომის მონაწილეებს, პირველ რიგში გადაწყვეტონ მათი საარსებო პრობლემები;

— მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ინვალიდთა ფიზიკურ, შრომითს და სოციალურ რეაბილიტაციას, განათლებასა და პროფესიულ სწავლებას, შრომითს ცხოვრებაში ჩაბმას არსებული შეღავათების შენარჩუნებით;

— მოიწონონ რესპუბლიკებისა და შრომითი კოლექტივების ინიციატივა, რომლებიც დამატებითი შეღავათებით უზრუნველყოფენ ქალებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ინვალიდებს საკუთარი წყაროებისა და ფონდების ხარჯზე;

— დაამთავრონ 1990 წლისათვის საერთო-სახელმწიფოებრივი ეკოლოგიური პროგრამის შემუშავება, შეიტანონ ამ პროგრამაში გარემო ბუნების გაჯანსაღების რომგორც გადაუდებელი, ისე გრძელვადიანი ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ეკოლოგიური უბედურების ზონებს. უზრუნველყონ პროექტების საგულდაგულო განხილვა და არხების, ქიმიური საწარმოების, ატომური სადგურების მშენებლობის კონტროლი ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, და ეკონომიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. გაუძლიერონ სახელმწიფო კონტროლი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, უზრუნველყონ გარემოს მდგომარეობის ამსახველი ცნობების საჯაროობა.

ყრილობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ არ კლებულობს ლოთობა, ვერ არის ეფექტიანი ანტიალკოჰოლური ღონისძიებანი, ვრცელდება შინაური არყის გამოხდა, ნარკომანია, და მოითხოვს გადამწყვეტ ბრძოლას ამ მოვლენების წინააღმდეგ.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება, გათანაბრებისა და გამოყვანის სრული დაძლევა. ყრილობას დასაბუთებულად მიაჩნია მხოლოდ შრომის შედეგებისა და ხარისხის შესაბამისი გამომშვავების ზრდა, შემოსავლის პროგრესული დაბეგვრის პირობებში.

ყრილობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავალებს, 1989 წლის დამლეგამდე:

— დაამუშაოს საპენსიო უზრუნველყოფის ახალი სისტემის შემოღების საკითხები, რომელიც უნდა შეიცავდეს ცხოვრების ღირებულების ინდექსის გათვალისწინებით ყოველი წლის ბოლოს პენსიების კორექტირების მექანიზმს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებებს ცალკეულ კატეგორიათა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ;

— შეიმუშაოს საკომპენსაციო ღონისძიებების (დანამატი, დოტაცია წამლების, ბავშვის ტანსაცმლის შესაძენად და ა. შ.) სისტემა იმ პირთათვის, რომელთა შემოსავალი ოჯახის წევრზე გაანგარიშებით საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებია, მოაწყოს 1990 წლიდან მოყოლებული საცხოვრებელი მინიმუმის ყოველწლიური გამოთვლა ოჯახის წევრზე გაანგარიშებით;

— წარმოუდგინოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ყველა ფორმის შეღავათებისა და პრივილეგიების დამკვიდრებული სისტემის ანალიზი და უზრუნველყოს მაქსიმალური საჯაროობა შეღავათებთან და პრივილეგიებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში.

ყრილობას საბჭოთა საზოგადოების განახლების, ჰუმანიზაციისა და ზნეობრივი ამაღლების დიდმნიშვნელოვან პირობად მიაჩნია ყოველმხრივ განვითარდეს პოლიტიკური, სულიერი და შრომის კულტურა, რომელსაც განასახიერებს მეცნიერული ცოდნა, ხელოვნების ღირებულებანი, ხალხური ტრადიციები, ყოველდღიური ქცევის ნორმები. კულტურის გადამწყვეტი აღმავლობის, საჯაროობის გაფართოების გარეშე სტაბილურ წარმატებებს ვერ მივაღწევთ საზოგადოების დემოკრატიზაციაში, ტალანტების, ადამიანის ნიჭისა და უნარის განვითარებაში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა აცხადებს, რომ ერთგულია კულტურის დარგში ისეთი პოლიტიკის და პრაქტიკისა, რომელიც უზრუნველყოფს მხატვრული შემოქმედების თავისუფლებას, მშრომელთა შეუზღუდავ ზიარებას კულტურის მიღწევებისადმი, ადამიანის სულიერი სამყაროს რომ ამდიდრებს.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია თანამიმდევრულად ხორციელდებოდეს კულტურის, მოქმედი ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების ლენინური პრინციპები, რომლებიც გამორიცხავს ადმინისტრირების ყოველგვარ გამოვლინებას და ნორმად ამკვიდრებენ მზრუნველ დამოკიდებულებას წარსულის მემკვიდრეობის, მისი საუკეთესო ტრადიციების, სახელმწიფო სიმბოლოებისა და წმიდათაწმიდა ეროვნული ღირებულებებისადმი. კულტურის განვითარებისა და საზოგადოების სულიერი განახლების მიზნით დაეკალოთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაონ გრძელვადიანი პროგრამა, ამასთან გაითვალისწინონ პროგრამაში საზოგადოების კულტურული პოტენციალის შენარჩუნება და გამ

სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ

(დასასრული)

ტექნიკით აღჭურვას, სახალხო მასწავლებლის, განათლების სისტემის ყველა მუშაკის სოციალური სტატუსის ამაღლებას. საერთოსახელმწიფოებრივ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად საჭიროა უფრო აქტიურად ჩავაბათ ამ ამოცანების გადაწყვეტაში რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი მოძრაობანი და საქველმოქმედო ფონდები.

III.

ყრილობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს რადიკალური ცვლილებების განხორციელებას ეკონომიკის სფეროში, გარდაქმნის საძირკველად და მისი მიზნების მიღწევის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნია ისინი. ეკონომიკაში, საკუთრებითს ურთიერთობაში, საშეურნეო მექანიზმში კარდინალურ ცვლილებათა განუხორციელებლად ვერ შესრულდება სოციალური პროგრამა, რომელიც ყრილობამ წამოაყენა.

ყრილობა ძირითადად იწონებს მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ი. რიჟკოვის მოხსენებებში დასახულ წინადადებებს, რომლებიც ეხება სახალხო მეურნეობის გაჯანსაღებას, საბიუჯეტო დეფიციტის მკაფიერ შემცირებას, ფულის ბრუნვის მოწესრიგებას, საქონლითა და მომსახურებით სამომხმარებლო ბაზრის გაჯერებას, და მოითხოვს სახალხო დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს დამატებითი ღონისძიებანი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. შესაბამისი წინადადებანი განხილულ და გათვალისწინულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში, პალატების სხვა კომისიებსა და კომიტეტებში 1989 წლის დავალებათა შესრულების მიმდინარეობის, 1990 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილისას. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილისა და გასავლის ფორმირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო უნდა იღებდეს მას შემდეგ, რაც ამ საკითხებს გულდასმით, ყოველმხრივ და საჯაროდ განხილავენ კომიტეტები და კომისიები.

ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ძირეულ ტექნიკურ მოდერნიზაციას სამამულო და მსოფლიო მეცნიერების უახლესი მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიების, უფრიანეულ ყოველისა, ელექტრონიკის, ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგიის დანერგვის ბაზაზე. ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ფართოდ განვავითაროთ როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევა მეცნიერული ცოდნის ყველა დარგში, დავწინაურდეთ მეცნიერული ძიების ყველაზე პერსპექტიული მიმართულებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას, თვისებრივ ცვლილებებს ტექნიკასა და ტექნოლოგიაში.

რადიკალურად უნდა განვაახლოთ სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, ძირფესვიანად შეგვცვალოთ საინვესტიციო პოლიტიკა, მკვეთრად შევამციროთ ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვი, გავუტოლოთ მეცამეტე ხუთწლედის დამდეგს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა ნორმატიულ დონეს. არსებითად შევამციროთ საწარმოო საჭიროებებისათვის გაფდეულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების შესაბამისმა კომისიებმა და კომიტეტებმა უნდა გააანალიზონ მდგომარეობა და განსაზღვრონ მშენებარე და დასაგეგმავი ფართო მასშტაბის ობიექტების მიზანშეწონილობა.

დაევალოს მთავრობას შეიტანოს ცვლილებანი სსრ კავშირის ენერგეტიკულ პროგრამაში, მოაწყოს მისი ფართო განხილვა.

გამავლენოს დამატებითი რესურსები ეკონომიკის გასავითარებლად და სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად, რისთვისაც შეამციროს გონივრული საკმარისობის დონემდე სამხედრო ხარჯები, გაზარდოს კოსმოსური კვლევის ეფექტიანობა, ფართოდ გამოიყენოს სახალხო მეურნეობაში კოსმოსური ტექნიკის მიღწევები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1989 წლის დამლევამდე შეიმუშაოს თავდაცვითი მრეწველობის კონვერსიის პროგრამა. ამასთან, გამოთავისუფლებული სამძიმავრენი და მატერიალური რესურსები გამოიყენოს სახალხო მოხმარების საქონლისა და აგროსამრეწველო კომპლექსის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და ჯანდაცვის, მსუბუქი მრეწველობის მოწყობილობის გამოშვებისათვის. შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული სახსრების ნაწილი მოახმაროს სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ყრილობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს სახალხო მეურნეობის უდიდესი დანაკარგების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის, შრომის დაცვის წესების დარღვევის, აღმაშფოთებელი უუაირათობისა და უპასუხისმგებლობის მრავალი ფაქტის გამო. იგი სსრ კავშირის მთავრობის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვს განახორციელონ მტკიცე ღონისძიებანი მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად და მოუწოდებს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, შრომითს კოლექტივებს ყველგან გააჩაღონ დახაკარგებისა და უუაირათობის წინააღმდეგ, შრომისა და შესრულების დისციპლინის გამტკიცებისათვის ბრძოლის საერთო-ეროვნული კამპანია.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სოფლის მეურნეობის, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის განვითარებას. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ არსებითად განაახლოს მიზნისა და მიწათსარგებლობის კანონმდებლობა. მეტი გამბედაობა გვმართებს მიწების იჯარით, კერძოდ, უვადო იჯარით გადაცემაში იმათთვის, ვინც მიწას ამუშავებს. მიწის იჯარასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტა დაეკისროთ ადგილობრივ საბჭოებს და საკანონმდებლო წესით გაფართოვდეს მათი უფლებამოსილება. განვავითაროთ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად მეურნეობრიობის მრავალფეროვანი ფორმები — აგროფირმები, კოოპერატივები, მოიჯარეთა კოლექტივები, გლეხთა მეურნეობანი, შევქმნათ პირობები მათი თანასწორუფლებიანი შეჯიბრებისათვის. უზრუნველყოთ ეკვივალენტური ურთიერთობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მომარაგება მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, გარდავქმნათ მისი სტრუქტურის ცვლილებათა გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება. განვამტკიცოთ აგრარული სექტორის სოციალური ბაზა. საბოლოოდ აღვკვეთოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისადმი მბრძანებლობის ყოველგვარი ცდები.

მხარი დავუჭიროთ აგრარიკოს სახალხო დეპუტატთა ჯგუფის მიმართვას ყრილობისადმი და დავალოთ სსრ კავშირის მთავრობას დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ მიმართვაში დასახულ სოფლის განვითარების ძირეულ პრობლემათა რეალიზაციას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოაწყოს მეურნეობათა მიერ მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამატებითი მიწოდების სტიმულირების ეკსპერიმენტი, რისთვისაც ანაზღაუროს მიწოდება მარცვლეულისა და სურსათის იმპორტის შემცირების შედეგად დაზოგილი ვალუტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მისი კომიტეტები და პალატების კომისიები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შეუდგნენ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991-1995 წლების ხუთწლიანი გეგმისა და 2005 წლამდე პერიოდის გეგმის კონცეფციისა და ძირითად მიმართულებების შემუშავებას. ამ მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ეკონომიკური ზრდის სოციალური ორიენტაციის შეცვლას, ხუთწლიანი გეგმის სრული შეწონასწორების მიღწევას, რესპუბლიკისა და ადგილობრივი საბჭოების დამოუკიდებლობის გაფართოებას, რესურსდაზოგის საკითხებს, ზოსახლეობის სრული და ეფექტიანი დასაქმების ხელშემწყობი პირობების შექმნას. უარი თქვან მთლიანი მოცულობითი მაჩვენებლების გამოყენებაზე საწარმოებისა და ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და შედეგების შეფასებაში.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია განუხრელად განხორციელდეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, გადაიდგას ურთიერთდაკავშირებული ნაბიჯები დაგეგმვის მეთოდების, საფინანსო ბერკეტების, ფასების, გადასახადის, შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად, ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის დასანერგად. შეძენილი გამოცდილებისა და დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით საჭიროა ძირეულად გაუმჯობესოთ თვით რეფორმის პროცესის მართვა, არ დაუშვათ გადახვევები მისი პრინციპებისაგან. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ მთავრობაში შეიქმნას ეკონომიკური რეფორმის საკითხთა სახელმწიფო კომისია.

ეკონომიკური რეფორმის შემდგომი გაღრმავების მიზნით ყრილობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავალებს:

— უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების ისეთი მრავალფეროვანი ფორმების განვითარება, რომლებიც გამორიცხავენ ექსპლოატაციას და მუშაკის გაუცხოვას წარმოების საშუალებათაგან. შეუქმნან განვითარებისა და თავისუფალი შეჯიბრების თანასწორუფლებიანი პირობები საერთო-სახელმწიფო, ადგილობრივ (კომუნალურ), კოოპერაციულ საკუთრებას, რომელიც ემყარება იჯარასა და საპაიო საწყისებს (სააქციო ფორმა), ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, აგრეთვე სხვადასხვაგვარ შერეულ ფორმებს, მიიღონ ზომები კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად;

— განახორციელონ უახლოეს წლებში ეტაპობრივი გადასვლა წარმოების საშუალებათა სამეთუმო ვაჭრობაზე, შეუქმნან ფორმირების პირობები სოციალისტურ ბაზას, კერძოდ, ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო რესურსების ბაზას. მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ეკონომიკური შეჯიბრებისა და მონოპოლისტურ მოვლენებთან ბრძოლის ფართოდ განვითარებისათვის;

— განსაზღვრონ ზარალიან და მცირერენტაბელურ საწარმოთა პრობლემის გადაჭრის მიმართულებანი, კერძოდ, მათი იჯარით გადაცემის, შრომითი კოლექტივების კოოპერაციულ საკუთრებაში გადაყვანის, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში — დახურვის გზითაც;

— განახორციელონ საფინანსო სისტემის რადიკალური გარდაქმნა, გადავიდნენ რესურსებისათვის გადასახდელთა სისტემაზე და მოგების (შემოსავლის) პროგრესიულ ძალოგვრაზე. განამტკიცონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის როლი და გაზარდონ მისი დამოუკიდებლობა. ხელი შეუწყონ კოოპერაციული და კომერციული, მათს შორის, რესპუბლიკური და რეგიონალური ბანკების შექმნას;

— შეიმუშაონ და თანმიმდევრულად შეასრულონ სათბობ-ენერგეტიკული და ნედლეული რესურსების ექსპორტის შემცირებისა და იმპორტის სტრუქტურის შეცვლის პროგრამა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისა და მანეთის კონვერსიაზე ეტაპობრივი გადასვლის საფუძველზე.

ყრილობა მხარს უჭერს სამრეწველო საწარმოთა (გაერთიანებათა) ინიციატივისა და დამოუკიდებლობის ყოველმხრივი განვითარების კურსს, როგორც ეკონომიკური რეფორმის ამოსავალ პუნქტს. უნდა უზრუნველვყოთ სრულ სამეურნეო ანგარიშზე მათი თანამიმდევრული და განუხრელი გადაყვანა, მისი მოდელების გამოყენების შესაძლებლობა, წავახალისოთ იჯარის, არენდის, აქციონერთა ამხანაგობების განვითარება.

ყოველნაირად უნდა შეეუწყოთ ხელი სოციალისტური კონცერნების, დარგთშორისი გაერთიანებების, კავშირებისა და სხვა ობიერიკანიების ნებაყოფლობითს შექმნას. ამ ფორმების განვითარება საშუალებას მოგვცემს რადიკალურად შევცვალოთ სამინისტროთა ფუნქციები, განუხრელად შევამციროთ მათი რიცხვი.

მეურნეობის სისტემაში, რომელიც დაემყარება არა ადმინისტრაციულ განკარგულებებსა და ბრძანებებს, არამედ კანონით სარგებლიერებელ მართვის ეკონომიკურ მეთოდებს, ცენტრის როლი ამით უნდა გამოიხატებოდეს, რომ შექმნას ეკონომიკური და სამართლებრივი პირობები ყველა დონის ეფექტიანი სამეურნეო საქმიანობისათვის, განავითაროს საერთო-საკავშირო ინფრასტრუქტურა. განახორციელოს საერთო-სახელმწიფოებრივი მეცნიერულ-ტექნიკური, საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკა, უზრუნველყოს მოქალაქეთა სოციალური ხელშეუვალობა.

უზრუნველყოს სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობა და სისრულე, მისი საიმედოობა, ისევე როგორც ოფიციალური წყაროებიდან გამოსული ნებისმიერი სხვა ინფორმაციისა. მოიგაროს ობიექტური მონაცემების პუბლიკაცია ინფლაციის დონისა და ტემპების შესახებ. უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტატისტიკური მაჩვენებლების შესადარობა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ შესაბამის მაჩვენებლებთან.

IV.

ყრილობა ადასტურებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მთელი სახელმწიფო ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის და ხალხი ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით.

ყრილობა მხარს უჭერს XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე შემუშავებულ გეზს, რომლის მიზანია ზუსტად გაიმიჯნოს ფუნქციები ყველა დონის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს შორის, ჩამოყალიბდეს სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო, თანამიმდევრულად განხორციელდეს პრინციპი, რომლის თანახმად ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაც, მოქმედებენ სსრ კავშირის კონსტიტუციის, საბჭოთა კანონების ფარგლებში.

ყრილობა ერთსულოვნად უჭერს მხარს იმას, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეთ მუშაობას ახალი კონსტიტუციის — სსრ კავშირის ძირითადი კანონის მოსამზადებლად, და შექმნათ ამ მიზნით საკონსტიტუციო კომისია. ახალ კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპები, დამკვიდრდეს საბჭოთა სახელმწიფოს აგებულების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები, მისი ლენინური ფედერაციული წყობა, სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთობათა სახელშეკრულებო-საკონსტიტუციო ბუნება, განვითარდეს ყველა სახეობის ავტონომია, საბჭოების მაღალი სტატუსი, ადამიანის განუყოფელი უფლებები, პიროვნების უსაფრთხოება და სამართლებრივი დაცულობა. ახალმა კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს ისეთი სოციალური, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელიც შეუძლებელს გახდის პიროვნების კერძო, ავტორიტარულობის წარმოშობას, საზოგადოების მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების შენარჩუნებას.

დაევალოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სახალხო დეპუტატთა მორიგი ყრილობისათვის მოამზადოს სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის საჭირო შესწორებანი დეპუტატთა მიერ ყრილობაზე გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით.

ყრილობა აცხადებს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას დაამკვიდროს კანონის უზენაესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, უკლებლივ ყველა მოქალაქის, თანამდებობის პირის და ორგანიზაციის თანასწორობა კანონის წინაშე. ყველა მოქალაქე პასუხს აგებს თავისი საქციელისათვის კანონის წინაშე. მაგრამ სახელმწიფოც მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების სახით ასევე პასუხს უნდა აგებდეს თავისი მოქმედებისა და გადაწყვეტილებებისათვის თითოეული მოქალაქისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე. მოქალაქეთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, კოოპერატივთა, საწარმოთა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში თანამიმდევრულად უნდა მკვიდრდებოდეს პრინციპი: „ნებადართულია ყველაფერი, გარდა იმისა, რაც კანონით არის აკრძალული“.

სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის ძირითადი მხარეები ზუსტად უნდა რეგულირდებოდეს კანონით. ნებისმიერი თანამდებობის პირის არამართლზომიერი ერთპიროვნული ან კოლეგიური მოქმედება, რომელიც მოქალაქეთა უფლებებს ლახავს, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. კანონსამართლებრივი სახელმწიფოს ბალავარია, მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის, საზოგადოების წესრიგისა და ორგანიზებულობის დამკვიდრება, სოციალური სამართლიანობის პრინციპის გარანტია.

ყრილობა იმით ხელმძღვანელობს, რომ შეუვალად და წმიდათაწმიდად ცნობს ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების, პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობის და უსაფრთხოების, განუყოფელ უფლებებს, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. ადამიანის უფლებებისა და ხალხთა უფლებების ყოველგვარი შელახვა დაუშვებელია. საბჭოთა საკანონმდებლო სისტემა, სასამართლო, ყველა სამართალდამცავი ორგანო მოწოდებულია თანმიმდევრულად და განუხრელად განახორციელოს და დაიცვას ეს უფლებები.

სსრ კავშირი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო ნორმებსა და პრინციპებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ჰელსინკის შეთანხმებებსა და ვენის შეხვედრაზე მიღწეულ მორიგებებში შემავალთ, მათ შეუსაბამებს საშინაო კანონმდებლობას და ხელს შეუწყობს სამართლებრივ სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის შექმნას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის, მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად იგი უფლებამოსილია განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება. ამასთანავე ყრილობას მიანიშნა, რომ საკანონმდებლო აქტების ძირითადი მასივი უნდა მოამზადოს, განიხილოს და მიიღოს მუდმივმოქმედმა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მისი კომიტეტებისა და პალატების კომისიების აქტიური მონაწილეობით, ზუსტად შემუშავებული დემოკრატიული პროცედურის შესაბამისად, ოფიციალიზებულ ითვალისწინებს განხილვის საჯაროობას და კარგახსნილობას, გადაწყვეტილებათა და წინადადებათა ალტერნატიული ვარიანტების შეტანას.

ყრილობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ავალებს შეიმუშაოს მორიგი ყრილობისათვის წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ყოველწლიური განახლების წესის შესახებ.

ყრილობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ავალებს 1990 წლის დამდეგისათვის მოამზადოს საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში საბჭოების სრულფასოვანი ფუნქციონირების პრინციპი, აგრეთვე უწყვეტობისა და კუთხურობის დაძლევის ღონისძიებანი თანამიმდევრულ და კონკრეტულ გამოხატულებას პოვებენ. ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების რეკონსტრუქცია, მათი საქმიანობის მეთოდების დემოკრატიზაცია, უფლებებისა და რწმუნებების ყოველმხრივი გაფართოება, აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ამოცანად მათდამი საბჭოებისათვის ხელისუფლების რეალური ბერკეტების დაბრუნების საჭირო პირობაა. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები სრულად უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების — ყრილობებისა და უმაღლესი საბჭოების წინაშე. მთელი ადგილობრივი საქმეებისადმი ხელმძღვანელობა უნდა ხორციელდებოდეს თვითმმართველობის პრინციპებით, მოქალაქეთა ინიციატივის მაქსიმალური განვითარების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და დემოკრატიულ მოძრაობათა როლის გაძლიერების პირობებში. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას უნდა შეუწყონ ხელი იმ რესპუბლიკური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მომავალმა არჩევნებმა, რომლებიც 1990 წლის თებერვალში გაუდით უფლებამოსილების ვადა.

საჭიროა განვამტკიცოთ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესის კონსტიტუციური განვითარების კონსტიტუციური გარანტიები. მოვახდინოთ საარჩევნო სისტემის თანამიმდევრული დემოკრატიზაცია, ამასთან უფრო სრულად გავითვალისწინოთ რესპუბლიკების საარჩევნო კანონების შემუშავებისას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წინანდელი არჩევნების გამოცდილება.

კანონმდებლობის დარგში ასევე გადაუდებელი ამოცანაა ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი უზრუნველყოფა. ყრილობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ავალებს შეიმუშაოს სოციალისტური საწარმოს ერთიანი კანონი, აგრეთვე დაარქაოს იჯარისა და საიჯარო ურთიერთობა კანონის, ერთიანი საგადასახადო სისტემის, რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის კანონის მიღებადა. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტის პალატების შესაბამის კომისიებთან ერთად განიხილონ რესპუბლიკების წინადადებები მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოების საკითხებზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემოტანილი ლიტვის სსრ და ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოების წინადადებანი 1990 წლიდან ამ რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ.

უახლოეს ხანს საკანონმდებლო წესით უნდა მოგვარდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და ასოციაციების საქმიანობა. უნდა შევიმუშაოთ და მივიღოთ კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მკვეთრად განამტკიცოს მართლწესრიგი ქვეყანაში. დემოკრატიულ განვითარებას შეიძლება ძირი გამოუთხაროს, როგორც ადმინისტრაციულმა თვითნებობამ, ხალხის ნების გამოთქმის თავისუფლების შეზღუდვამ, ისე ამ ნების გამოთქმის შეცვლამ ძალადობითა და ექსტრემისტთა თვითნებობით.

ყრილობა აუქმებს მე-11 პრიმეხლს და საჭიროდ მიაჩნია დაზუსტდეს მე-7 შუხლის რედაქცია, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 8 აპრილის ბრძანებულება, აგრეთვე დაევალოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განიხილოს საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მიტინგებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფლებამოვალეობათა შესახებ.

ყრილობა მოითხოვს თანამიმდევრულად გაგრძელდეს და გაძლიერდეს ბრძოლა კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულობის, დატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ, აღმოიფხვრას ეს სამარცხვინო მოვლენები ყველა დონეზე, აღიკვეთოს მათი მიზეზები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთოსაკავშირო პროგრამა და წარმოუდგინოს იგი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. სახელმწიფო ვალდებულია გარანტიულად უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსებისა და ქონების ხელყოფისაგან, მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება სასამართლოების, პროკურატურის, გამოძიების, მილიციის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლებისა და განმტკიცების, მათი მუშაკების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

განსახორციელებელი სასამართლო-სამართლებრივი რეფორმის უმნიშვნელოვანესი რგოლი უნდა გახდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის საბოლოო განმტკიცება და გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა, მისი გამოყენა ყოველგვარი უწყვეტრივი გავლენის სფეროდან. ვერც ერთმა დამნაშავემ ვერ უნდა აიცდინოს საკადრისი სასჯელი, ამასთან არც ერთ უდანაშაულოს არ უნდა დადეოს მსჯავრი. ამ ამოცანას გადაგვაწყვეტინებს მხოლოდ მოქალაქეთა კანონიერი უფლებების სრულფასოვანი დაცვა სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაში, მათ შორის ადვოკატის დაშვება გამოძიების დაწყებისთანავე. ობიექტური გამოძიება, ძლიერი დაცვა და დამოუკიდებელი სასამართლო — აი სოციალისტური მართლმსაჯულების სამი ერთარსი ფორმულა. ყრილობა ავალებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს უზრუნველყოს სასამართლო რეფორმის მოწყობა მომავალი წლის შუა ხანებისთვის, რათა შეიქმნას ნამდვილად დამოუკიდებელი და ავტორიტეტული სასამართლო სისტემა, ამასთან განიხილოს სამართალწარმოების ისეთი დემოკრატიული ფორმის გამოყენების შესაძლებლობა, როგორიც არის ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო სისტემები აგებული უნდა იყოს მათი პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით, დემოკრატიული მართლმსაჯულების ყველა პრინციპის დაცვით.

V.

ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ეროვნულ საკითხს, ეროვნებათშორისი ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობას და ეროვნული პოლიტიკის პრინციპული განახლებას, ისეთი პოლიტიკური მექანიზმის შექმნის საჭიროებას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს გონივრული და სამართლიანი მიდგომა ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებისადმი. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ფედერაციულ წყობას უნდა ჰქონდეს რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსი. ჩვენ მოვალენი ვართ მთლიანად გავაჯანსაღოთ ეროვნული ურთიერთობა, მოვაცილოთ მას ყოველივე, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს მორალსა და იდეოლოგიას, სოციალიზმის ჰუმანურ საწყისებს.

სსრ კავშირის კომპეტენციას და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს და ავტონომიების უფლებებს ესაჭიროება თანამედროვე ზუსტი იურიდიული განსაზღვრა. ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც ლენინმა წამოაყენა, როგორც სსრ კავშირში რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი გაერთიანების ქვაკუთხედი, უნდა აღდგეს მისი ნამდვილი ბუნებრივი ბერნშენელობით და უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო დემოკრატიული სამართლებრივი გარანტიებით.

ყრილობა აცხადებს: როდესაც სამართლებრივ სახელმწიფოში რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა დაცვის აუცილებელ იურიდიულ მექანიზმს ვქმნით, თანამედროვე რეალიებთ უნდა ვიხელმძღვანელოთ. შეიცვალოს ყველა რესპუბლიკის ეკონომიკა, დემოგრაფია, სოციალური და ეროვნული სტრუქტურა, გაიზარდა ეროვნული თვითშეგნება, გაჩნდა სულიერი ცხოვრების ახალი მოთხოვნილებანი. ყოველივე ეს მოითხოვს განმტკიცდეს პოლიტიკური გარანტიები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს კონვერსიული და სამართლიანი მიდგომა ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებისადმი. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ფედერაციულ წყობას უნდა ჰქონდეს ეროვნული ურთიერთობის სრულფასოვანი დაცვა სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაში, მათ შორის ადვოკატის დაშვება გამოძიების დაწყებისთანავე. ობიექტური გამოძიება, ძლიერი დაცვა და დამოუკიდებელი სასამართლო — აი სოციალისტური მართლმსაჯულების სამი ერთარსი ფორმულა. ყრილობა ავალებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს უზრუნველყოს სასამართლო რეფორმის მოწყობა მომავალი წლის შუა ხანებისთვის, რათა შეიქმნას ნამდვილად დამოუკიდებელი და ავტორიტეტული სასამართლო სისტემა, ამასთან განიხილოს სამართალწარმოების ისეთი დემოკრატიული ფორმის გამოყენების შესაძლებლობა, როგორიც არის ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო სისტემები აგებული უნდა იყოს მათი პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით, დემოკრატიული მართლმსაჯულების ყველა პრინციპის დაცვით.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საჭიროა შეიქმნას იმ კოლიზიების გადაჭრის ამომწურავი ფორმულა, რომლებიც ადამიანებს ეროვნული ნიშნით ერევიან ერთმანეთს. ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ნიშნით ადამიანთა ურთიერთობის ჰარმონიული განვითარების მიზნით;

— სულიერ სფეროში — ალბათ, ეროვნული ინტერესებს ალბათ ყველაზე ადამიანთა ეროვნული ღირებულებად ეროვნული კულტურების მთელი მრავალფეროვნება. ისინი მარტოოდენ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას როდი წარმოადგენენ, ეს კაცობრიობის სულიერი საგანძურის უბადლო და სწორუპოვარი ნაწილია და ყრილობა ხაზს უსვამს, რომ ერთნაირად მზრუნველი დამოკიდებულება გვმართებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, როგორც დიდი, ისე მცირერიცხოვანი ხალხის კულტურებისადმი, ეროვნული ენების განვითარებისა და გამდიდრებისადმი.

VI.

სახალხო დეპუტატთა ყრილობა იწონებს და მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობას გარდაქმნის წლებში.

დოგმატიკურ წარმოდგენებზე უარის თქმა, საერთაშორისო ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესებისადმი მიდგომაში რეალიზმი, საკაცობრიო ღირებულებებისათვის დაკარგული მნიშვნელობის დაბრუნება, სახელმწიფოთა ურთიერთობის დეიდეოლოგიზაცია, ქვეყნის ინტერესების დასაცავად მიმართული პოლიტიკის ორგანული შერწყმა ზნეობასთან, — ყოველივე ეს დამახასიათებელი ნიშნებია ახლებური აზროვნებისა, რომლის შესაბამისადაც სსრ კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსი ძირეულად შეიცვალა. დღეს იგი მტკიცედ ემყარება XXVII ყრილობის ისტორიულ დასკვნებს კაცობრიობის არსებობის, თანამედროვე სამყაროს მთლიანობისა და მზარდი ურთიერთდამოკიდებულებისათვის გამალებული ბირთვული შეიარაღების მომაკვდინებელი საფრთ

ნ. ი. რიჟკოვი: ვისწავლოთ ერთად მუშაობა

ინტერვიუ საკავშირო საპარლამენტო კორესპონდენტისადმი

კითხვა: საცაა დამთავრდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კომისიებსა და კომიტეტებში მთავრობის ახალი წევრობის კანდიდატების განხილვის პროცესი. როგორ აფასებთ ამ დიდ, ბევრად ახალ მუშაობას და მის რა ელემენტებს აღნიშნავდით?

პასუხი: საერთოდ ამ მუშაობას ვაფასებ როგორც უჩვეულოს ჩვენს წინანდელ პრაქტიკასთან შედარებით. მახსოვს ძველი უმაღლესი საბჭოს მუშაობა, მახსოვს, როგორ მტკიცდებოდა მთავრობა. მიდგომა, პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ მთავრობის სტრუქტურის, მისი პერსონალური განხილვის დროს, სერიოზულად განსხვავდება წინანდელი სქემისაგან. ეს პირველი. მთავრობის ფორმირების, ჩვენში მისი განხილვის ასეთი წესი, ვფიქრობ, არასოდეს არ ყოფილა. ეს პირველად არის. როგორც ჩანს, ტოვრება შემდგომში გარკვეულწილად დახვეწს ყველა საპროცედურო საკითხს. ჯერჯერობით პარლამენტარებიც, ისინიც, ვინც სახელმწიფო პოსტებზე წარმოადგენენ, გამოცდილებას იძენენ. თუმცა, ახლა ჩვენ ყველანი ბევრს რამეს ვსწავლობთ. მიმდინარეობს ძიების პროცესი, და რაც ყველაზე მთავარია, იგი სწორი მიმართულებით მიდის. რა თქმა უნდა, ახალ საქმეში არის გარკვეული ხარვეზებიც, რომელთა გაკრიტიკება შეიძლება, მაგალითად, ერთგვარი არაორგანიზებულობა. მაგრამ მე ამას მეტად მშვიდად მოვეკიდებოდი იმიტომ, რომ, ვიმეორებ, მთავარი მიმართულება სწორად არის არჩეული.

რა შეიძლება აღინიშნოს კომისიებისა და კომიტეტების მუშაობაში? ჯერ ერთი, არაფორმალური დამოკიდებულება საქმისადმი. ახლა პრაქტიკულად არცერთი კანდიდატურის განხილვა არ მიმდინარეობს გულგრილად, არამედ პირიქით, ფრიად დაინტერესებით, ცხარედ, ზოგჯერ მეტად ემოციურადაც კი. ამასთან ყველა ცდილობს გაარკვიოს კანდიდატთა პოზიცია, მისცეს თავისი რეკომენდაციები. ასეთი აქტიურობა ესტაფეტასავით მოდის წინასაარჩევნო კამპანიისაგან, სახალხო დეპუტატთა არჩევნების, ყრილობისაგან. ხატოვნად რომ ვთქვათ, აქტიურობის მძლავრი ტალღა, რომელიც ყრილობაზე აგორდა, არ შენელებულა აქ, კომისიებში. და ახლა იგი ძალიან დიდია. განხილვის სიმწვავემ, დეპუტატთა დაინტერესებამ ბევრად განსაზღვრა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილეების, მინისტრების პოსტებზე თვით პრეტენდენტთა ქცევაც.

ყველა ისინი შინაგანად უფრო დისციპლინებული, მობილიზებული გახდნენ, იმიტომ რომ გაიგეს, თუ რაოდენ სერიოზულია დიალოგი ადამიანებთან, რომლებიც აფასებენ მათ კომპეტენტურობას, საქმიანობის პროგრამებს.

როგორც მთავრობის მეთაური, მე დეპუტატებს წარვუდგენ მხოლოდ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს, რომელშიც, თავმჯდომარის მოადგილეთა გარდა, შედიან ფინანსთა მინისტრი და მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. გარდა ამისა, წარვადგენ სამინისტროთა ხელმძღვანელებს: საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისას. ამას პირადად ვაკეთებ, ვაძლევ დახასიათებას, შემაქვს წინადადებანი დანიშვნის შესახებ. დანარჩენ მინისტრებს წარმოადგენენ ჩვენ მიერ ამისადან ეწევიან დისკუსიას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები.

კომისიებში სამი დღის მუშაობამ კმაყოფილება მომგვარა, მრავალი მწვავე, ზოგჯერ მწარე კითხვების მიუხედავად. მთი მოსმენა, აღქმა ადვილი როდი იყო, იმიტომ, რომ, თუმცა ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ საამურადაა, ბევრი რამეც ბოლომდე გადაუჭრელი დარჩა. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ პრეტენდენტებმა კამათის დროს შეძლეს დაგმტკიცებინათ თავიანთი კომპეტენტურობა. ვფიქრობ, დეპუტატებმა ეს დააფასეს. ყურადღება მიქცევთ კენჭისყრას. ი. დ. მასლიუკოვის კანდიდატურის განხილვამ, მაგალითად, ძალიან ცხარე კამათი გამოიწვია. ეს მოსალოდნელი იყო იმიტომ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მთავარი ეკონომიკური ორგანოა. კენჭისყრამ დაინტერესებით ჩაიარა. დეპუტატები დარწმუნდნენ კანდიდატის კომპეტენტურობაში, ერუდიციაში, პროფესიონალიზმსა და ღირსეულ ადამიანურ თვისებებში. სწორედ ეს განსაზღვრავს კიდეც საბოლოო ანგარიშით შედეგს.

დარწმუნებული ვარ ყველაფერი, რაც ახლა კრემლში ხდება, ისტორიაში შევა. ეს არის დიდი პროცესის დასაწყისი ჩვენს სახელმწიფოში. ჩვენ ვართ მთავრობის ფორმირების პროცედურის დაბადების სათავეებთან, რაც მხოლოდ ყურმოკრულად ვიცოდით სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან. ყოველივე ამას ახლა თავად განვიცდით.

კითხვა: როგორ ეკიდებით იმას, რომ ყველა კანდიდატმა ვერ მიიღო დეპუტატთა რეკომენდაციები? როგორია მათი შემდგომი პოლიტიკური ბედი, აქვთ თუ არა მაინც მათ შანსი გახდნენ კანონების წევრები? შეუძლია თუ არა უმაღლეს საბჭოს მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება?

პასუხი: ეს ჯერჯერობით ისეთივე გაუკვალავი გზაა, როგორიც ბევრი სხვა რამ. მოდით, განვიხილოთ რამდენიმე დღით წინ, როცა უმაღლესი საბჭო განხილავს კომისიებსა და კომიტეტებში მთავრობის პერსონალურ შემადგენლობას და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, ვარაუდებს ამის თაობაზე. როგორც ცნობილია, ყრილობას ამ საკითხზე უნდა მოახსენოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. ახლა უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ რამდენიმე კაცს, როგორც ჩანს, არ მისცემენ კომიტეტები და კომისიები რეკომენდაციას შესაბამის პოსტებზე. შესაძლებელია ისეთი ვარიანტებიც, როცა ერთი კომიტეტი ან კომისია იქნება მომხრე, „მეორე კი — წინააღმდეგი“. როგორი პოზიცია უნდა დავიკავო მე, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ? იმ კანდიდატების გამო, რომლის წინააღმდეგ დეპუტატებს დამაჯერებელი მოსაზრებანი აქვთ, მე შევიტან წინადადებას. დარჩეს შესაბამისი თანამდებობა ვაკანტური და შევიტანოთ შემდეგ სხვა კანდიდატურა უმაღლესი საბჭოს განსახილველად. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ამას ერთ ან ორ დღეში გავაკეთებთ. ჩვენთან არის მუდმივმოქმედი უმაღლესი საბჭო, და გვაქვს შესაძლებლობა არ ვიჩქაროთ არჩევანთან დაკავშირებით. ამასობაში სამინისტროს მუშაობას უხელმძღვანელებს მინისტრის მოადგილე, რომელსაც არ ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

მაგრამ არ გამოვრიცხავთ იმეთ შემთხვევებსაც, როცა დაგვჭირდება ბრძოლა კანდიდატისათვის, რომელიც უარყვეს კომისიაში, თუმცა მას აქვს ყველა მონაცემი, რათა სათავეში ჩაუდგეს რომელიღაც დარგს. ზოგჯერ ხომ შეუძლია ნეგატიური როლი შეასრულოს ემოციურმა ან ოდაჯერ წარმავალმა ფაქტორებმა. მაშინაც კი, როცა არსებობს აცილების რაღაც ობიექტური მიზეზები, არ შეიძლება გამოვრიცხოთ, თუ ვიცით კაცის ხასიათი, რომ იგი შემდგომში შეძლებს გამოსწორდეს და უკეთ იმუშაოს, ყოველ შემთხვევაში, თუ მხარს დავუჭერ უმაღლეს საბჭოში კანდიდატურის განხილვას, რომელიც კომისიებში უარყვეს, მხოლოდ მაშინ, თუ საესებით ვიქნები დარწმუნებული, რომ ეს ადამიანი შეესაბამება თანამდებობას.

როგორ წარიმართება იმ ადამიანთა ბედი, რომელსაც არ დაამტკიცებს უმაღლესი საბჭო? ვფიქრობ, მათ ექნებათ შესაძლებლობა კარგად იმუშაონ სხვა პოსტებზეც.

კითხვა: ყალიბდება პრინციპულად ახალი ურთიერთობა პარლამენტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შორის. როგორ დაახასიათებდით მას სახალხო დეპუტატთა მზარდი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით?

პასუხი: ჩვენ მხოლოდ სამი დღეა ერთმანეთს ვაკვირდებით — მინისტრთა საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო, და უმაღლესი საბჭო, როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო.

რა თქმა უნდა, მათი ურთიერთობა დეტალებში ჯერ კიდევ უნდა დაიხვეწოს. დღეს ჩვენ ქაღალდზეც კი არა გვაქვს ყველაფერი ნათქვამი, როგორ უნდა იყოს ეს. მაგრამ დროთა განმავლობაში სისტემა დაიხვეწება. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებანი განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციით. აქ ყველაფერი ნათელია. სხვა საქმეა, როგორ ჩამოყალიბდება პრაქტიკულად სამუშაო ურთიერთობა მათ შორის, კერძოდ, უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და კომიტეტების ურთიერთობა. ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხია. ვფიქრობ, შეცდომა იქნებოდა გაგვეწყოთ ომისათვის, რომ ვიღაცა ვიღაცას უნდა მბრძანებლობდეს. ასეთი მიდგომა მხოლოდ გააღვივებს ამბიციებს, იგი საქმეს არ წაადგება. უნდა ვიმუშაოთ ერთად და დღეიდანვე გვახსოვდეს, რა უზარმაზარი ამოცანები დგას ქვეყნის წინაშე. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოვიმუშავებთ რა ამხანაგურ დისკუსიებში ერთობლივ გადაწყვეტილებებს, ჩვენ მივაღწევთ წარმატებას.

კომისიები და კომიტეტები, რომლებიც ახლა შექმნილია უმაღლეს საბჭოში, მიიღებენ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. მაგალითად, დაიწყება 1990 წლის გეგმის პროექტის განხილვა, რომელსაც მოამზადებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და განიხილავს მინისტრთა საბჭო. იგი განსაზღვრავს თავის პოზიციას, თავის მიდგომას ომისადმი, როგორ წარმართოს სახალხო მეურნეობა რეალური პირობებისა და ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გათვალისწინებით.

და თუ წინათ უმაღლესი საბჭო მნიშვნელოვანწილად პროექტს ფორმალურად განიხილავდა, ახლა იგი მას არსებითად მოჰკიდებს ხელს. პროექტი მივა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში, იგი, როგორც ჩანს, დაურიგებს მას სხვა კომისიებს და დაიწყება სერიოზული განხილვა. ამასთან საეჭვოა მოვალოდეთ სრულ ერთსულოვნებას. ყველას მოგვიწევს მივუსხდეთ მაგიდას, შევამუშაოთ საერთო მიდგომები, გამოვნახოთ კომპრომისები. დარწმუნებული ვარ, ასეთი თანამშრომლობა დიდ სარგებლობას მოგვიტანს, მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას, ოპტიმალურ ვარიანტს. რა თქმა უნდა, ყველაზე ადვილია მოითხოვო მეტი, როცა თავს არ იწუხებ იმისათვის, თუ საიდან აიღო ეს სახსრები, ვის წაართვა ისინი. რიცა პასუხს აგებ ერთისთვისაც და მეორისთვისაც, მაშინ თავიდან იცილებ უკიდურესობებს, სძლევ კუთხურ და უწყებრივ ინტერესებს.

მე მგონი, ამ ბოლო სამი დღის განმავლობაშიც, რომლებიც კომისიებში გავატარეთ, ბევრი რამ შეიცვალა. ახლა პირველ პლანზე წამოიწია სურვილმა გამოვნახოთ ხერხი, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთ ერთობლივი მუშაობა. იწყება კონსტრუქციული აზროვნება. რიცა დღეს ერთ-ერთი ამხანაგი წარმოვადგინე, ვთქვი, რომ მოგვიხდება ერთად განვიხილოთ ყველა საკითხი, ერთად გადავჭრათ ისინი და ამ გადაწყვეტილებებს ქვეშ დაისმება უმაღლესი საბჭოს ბეჭედი. ეს უკვე არ არის ფორმალური პასუხისმგებლობა. თუ დღეს მთავრობა ზედიზედ ყველაფერს აკრიტიკებს, რადგან ჩვენ უკანასკნელი განმკარგულებელი ინსტანცია ვართ, ხვალ თქვენ მიიღებთ გადაწყვეტილებებს მთავრობასთან ერთად და შეიძლება თქვენც გაგაკრიტიკონ. გაგაკრიტიკონ, მაგალითად, იმისათვის, რომ ისე არ გაანაწილეთ ფული, არ მოახმარეთ იმას, რაც საჭიროა. ერთი კომიტეტი თავის ინტერესებს დაიცავს, მეორე— თავისას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილების მიღება მოუხდება საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას. როცა დეპუტატებს ვუთხარი, თქვენ გაგაკრიტიკებენ-მეთქი, მათ გაეცინათ და მიპასუხეს: ჩვენ უკვე გვაკრიტიკებენო. ჩემი აზრით, ეს დადებითი მოვლენაა.

ამ დღეებში ბევრი რამ ძლიერ შეიცვალა. უწინარეს ყოვლისა დეპუტატებმა მწვავედ იგრძნეს, რა სერიოზული პრობლემები დგას ქვეყნის წინაშე, მთავრობის წევრობის კანდიდატთა საქმის ცოდნით ჩამოყალიბებულმა პროგრამებმა და დარბაზთან დაინტერესებულმა, საფუძვლიანმა დიალოგმა მშვენიერი შესაძლებლობა მისცა სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებს შეეტყოთო, რა კეთდება მთელ ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში.

საარჩევნო ოლქის საზრუნავი, მთელი მათი მნიშვნელობის მიუხედავად, ახლა უფრო ორგანულად შეეხამება საერთო-სახელმწიფო საზრუნავს. ამ საფუძველზე პოლიტიკური მოღვაწის, სახალხო დეპუტატის პასუხისმგებლობა იძენს ახალ თვისებრიობას, ახალი, უფრო მასშტაბური განზომილებით წარმოგვიდგება. ალბათ, ეს არის ამ ბოლო დღეებში უმაღლესი საბჭოს პალატების კომისიებისა და კომიტეტების მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი.

თავის მხრივ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მთავრობის ყველა სხვა წევრი, გამოიარეს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და კომისიებში გულახდილი, ზოგჯერ კი მწვავე დისკუსიების ბრძმედში, აგრეთვე უფრო ღრმად სწვდებოდნენ მრავალ პრობლემას, რომლებიც რეალურად არსებობს ცხოვრებაში. ეს უეჭველია, ხელს შეუწყობს მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, მის მიახლოებას ჩვენი საზოგადოებრივი საჭიროებებთან და საზრუნავთან.

წმინდა ადამიანურად შეიძლება გაუგო მთავრობის წევრობის იმ კანდიდატებს, რომელთა უარყოფითი ემოციები გამოიწვია მათი სუსტი მხარეებისა . და ნაკლოვანებების მიუკერძოებელმა განხილვამ. მაგრამ მთავარი სხვა რამ არის. ის, ვინც წარმატებით გაიარა ეს საპარლამენტო პროცედურა, არ შეიძლება, რა თქმა უნდა, არ განიცდიდეს კმაყოფილებას იმის გამო, რომ მან მიიღო სახალხო დეპუტატთა ნდობის ვოტუმი. ამით მთავრობის მომავალი წევრის მდგომარეობაში ჩნდება ახალი დიდმნიშვნელოვანი თვისება — სახალხო წარმომადგენელთა მხარდაჭერაზე დაყრდნობა. ამასთან თანამდებობაზე დანიშვნის ფორმალურ აქტსაც ენიჭება პრინციპულად ახალი მნიშვნელობა, როგორც დემოკრატიულ აქტს, რომელიც ჩვენი პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის კალაპოტით მიდის.

23 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ გარემოებათა გამომკვლევი კომისიის მორიგი სხდომა, რომელშიც მოისმინა პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის ვიქტორია სირაძის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის ბეგლარ მახარაშვილისა და სახალხო განათლების მინისტრისა და ბიუროს წევრის გურამ ენუქიძის ახსნა-განმარტებანი თბილისის აპრილის მოვლენების გარშემო.

თავდაპირველად კომისიის თავმჯდომარემ თამაზ შავგულიძემ სხდომას მოახსენა, რომ ტარაზეიჩის კომისიისაგან განსხვავებით სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე შექმნილი კომისია მათთან მჭიდრო კონტაქტში მოქმედებს და ამის მეობებით, ალბათ, უახლოეს დროში დასასრულს თბილისში საქმიანობას.

როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, ვიქტორია სირაძესთან დაკავშირებით კომისიამ მიიღო წერილები, რომლებიც ორ ჯგუფად იყოფა: ერთნი ეხმიანებიან აპრილის ტრაგიკულ დღეებს, დანარჩენები შეიცავენ ზოგად მოსაზრებებს, რომლებიც სახელმწიფო კომისიის კომპეტენციას სცილდება. პირველი ჯგუფის ბარათებში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალტრაჟიან გაზეთ „სტუდენტურ ფურცელში“ გამოქვეყნებულ ღია წერილში წამოჭრილი მწვავე ბრალდებები სახელმწიფო კომისიის სხდომაზეც დაისვა. ყველაზე კონკრეტული და მძაფრი მათ შორის, ალბათ, ცხვარიჭამიის პიონერულ ბანაკებში ჯარების დაბინავების საკითხი იყო.

ვიქტორია სირაძემ პასუხი გასცა წამოჭრილ კითხვებს. კერძოდ, ცხვარიჭამიის ბანაკში ჯარის ნაწილების დაბინავების გამო მან თქვა: ჯარის ნაწილები ცხვარიჭამიაში არ ყოფილან. აქ 8 აპრილს განლაგდა მილიციის სასწავლებლების კურსანტთა და თანამშრომელთა ჯგუფი რუსეთის ქალაქებიდან. მათ ორ დღეში გადაინაცვლეს თბილისში, და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით 25 აპრილამდე მონაწილეობდნენ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. აპრილის იმ საბედისწერო დღეებში, როგორც ახლა გახდა ცნობილი, რესპუბლიკის 47-მდე ობიექტში დაბინავდნენ საბჭოთა არმიის და შინაგან საქმეთა ორგანოების ნაწილები (თბილისის სპორტის სასახლე, სტადიონები, სპორტული დარბაზები და ა. შ).

ამას გარდა, კომისიისათვის წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ვ. სირაძე აღნიშნავს, რომ ჯარის ვერაგული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, არმიის გენერალ კ. კოჩეტოვს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვს, რომლებმაც მშვიდობიანი მიტინგის დაშლის სისტემატიანი მისია იკისრეს.

სამშუბაროდ, დანაშაულს საბედისწერო სიმძიმე რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზეც მოდის, რამდენადაც იგი გულუბრყვილოდ ენდო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ოპერაციის უმტკივნეულოდ ჩატარების სიტყვიერ გარანტიას, რითაც, როგორც აღმოჩნდა, ხელ-ფეხი გაეხსნა შეიარაღებულ ბოროტებას.

რაც შემეხება პირადად მე, არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია ჯარების რესპუბლიკაში შეყვანასა და მიტინგის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, თუნდაც იმის გამო, რომ მხოლოდ 7 და 8 აპრილის საღამოს ჩატარებულ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებს, სადაც ეს საკითხები წყდებოდა, არ ვესწრებოდი.

აუცილებლობის შემთხვევაში ქალაქში საგანგებო მდგომარეობის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ გავიგე 8 აპრილს, ქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. თავს მოვალედ ვთვლი, ვაღიარო: სუბორდინაციული უსიტყვო აღმსრულებლობის ათწლეულობით გაბატონებულმა ტრადიციამ, სხვებთან ერთად არც მე მომცა საშუალება თავი დამეწია ძველი ინერციისაგან და თუნდაც როგორც დედას ქალური წინდახედულებითა და გულშემატკივრობით მეტი გამბედაობა, მეტი თავდადება, სითამამე გამომეჩინა და წინააღმდეგობა გამეწია.

ის ფაქტი, რომ ჩემგან, როგორც ქართველი ქალისგან, მეტ ჭირისუფლობას მოითხოვენ, დიდი პატივიცემა და, ამდენად, დიდი პასუხისმგებლობაც, მაგრამ ის, რაც ადამიანთა ერთი ჯგუფის საეჭვო მეცადინეობით, სასტიკი დაუნდობლობით ჩემს ირგვლივ ხდება, სრულიად შეუფერებელია ჩემთვის და ჩემი მშობლიური ხალხისათვის, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე, ეფიქრობ, უანგაროდ ვემსახურებოდი.

ამის პასუხად კომისიის სხდომაზე ითქვა, რამდენად სწორია, რომ ვიქტორია სირაძეს პასუხი მოვთხოვოთ წლების მანძილზე პარტიის და სახელმწიფო პოსტებზე სამსახურისათვის. კომისია მოვალეა, განსაზღვროს 9 აპრილის გამომწვევი მიზეზები და მასში თითოეული ხელმძღვანელის მონაწილეობა.

ამ მხრივ, კომისიის ზოგიერთი წევრის აზრით, თვით ვ. სირაძემ ჩამოაყალიბა მისი პასუხისმგებლობის საკითხი, როცა მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

ბეგლარ მახარაშვილმა კომისიას აცნობა, რომ მხოლოდ 6 აპრილს, გვიან ღამით ჩამოვიდა თბილისში, და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩაერთო მოვლენებში, მაგრამ, შექმნილი საგანგებო სიტუაციისა და, ალბათ, წინა დღეებში მისი ქალაქში არყოფნის გამოც, მართვის სადაკვეები ძირითადად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეპყრა ხელთ, იგი ფაქტობრივად განვითარებული მოვლენების დინებას მიჰყვა. მან განაცხადა, რომ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მაშინ სწორად მიაჩნდა, ქალაქში უნდა აღდგენილიყო წესრიგი, მაგრამ როგორ და რანაირად, როდის და რა ხერხებით, მისთვის ბოლომდე უცნობი იყო.

კომისიის სხდომაზე ითქვა: არავითარ შემთხვევაში არ იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება სწორი, ხომ უნდა დაგვეხმაროთ ამ ისტორიული დანაშაულის ანალიზში. „არაფერი ვიცოდი“, — დღეს უკვე აღარ შეიძლება ყველაფრის გამართლება იყოს.

გურამ ენუქიძემ კომისიას მოახსენა, რომ 4 აპრილს აფხაზეთში იყო გაგზავნილი და მხოლოდ 11 აპრილს სალამოს მიეცა იქიდან დაბრუნების საშუალება. ამის გამო კონკრეტული მომენტების შეფასებას მან თავი აარიდა, ზოგადად კი თქვა: დემოკრატიის მართვა ამ მეთოდებით, როგორც მას მართავდნენ 30-იან წლებში, ახლა შეუძლებელია. ამიტომაც მოხდა გაორება. რიცა ჭარდაქმნას მხარს უჭერ, დემოკრატიას მხარს უჭერ, მკაცრი დისციპლინის ნოსტალგია არ უნდა გაგიჩნდეს. მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელების გაორებამ მიგვიყვანა თავის ლოგიკურ და კრიზისულ შედეგამდე.

კომისიის მორიგი სხდომა პარასკევს, 30 ივნისს გაიმართება.

მანანა კარტოზია.

სახელმწიფო კომისია მუშაობს

სარედაქციო მინაწერი: ზოგიერთს მიაჩნია, რომ სახელმწიფო კომისიის მუშაობის ჩვენეულ ანგარიშებში ერთგვარი არასრულყოფილება შეიმჩნევა. არის ასეთი აზრიც, რომ თითქოს ჩვენ ვალდებული ვართ ყოველი მასალა შევუთანხმოთ კომისიას. ამავე დროს, მოგეხსენებათ, გაზეთი „კომუნისტი“ ერთადერთი ორგანოა, რომელმაც იკისრა კომისიის ყველა სხდომის ანგარიშის დაბეჭდვა. როცა რედაქციამ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო, ესმოდა, რომ ეს იოლი მისია არ იქნებოდა. ვგრძნობდით პასუხისმგებლობას და ვცდილობდით შეძლებისდაგვარად თანამიმდევრულად აგვესახა მთავარი, გამოგვეყო არსებითი მრავალსაათიან სხდომებზე დასმული საკითხთაგან. იქნებ ჩვენს ცდასაც აკლდა სიზუსტე. იქნებ უნებურად ზოგიერთი მომენტი უგულვებელყოფილიც იყო. ამიტომ რედაქცია საშუალებას აძლევდა და აძლევს ყველას, ვისაც რამე კონკრეტული პრეტენზია აქვს, გამოთქვას თავისი აზრი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამის პრეცედენტი არაერთხელ გვქონია. მიმდინარე წლის 18 მაისის ნომერში დაიბეჭდა ჯუმბერ პატიაშვილის, ზურაბ ჩხეიძის, გურამ მეტონიძის დაზუსტებანი. 24 მაისის ნომერში ჩვენი ტრიბუნა დავუთმეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ვ. კვარაცხელიას, პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგეს ი. ჩიქოვანს, ქალბატონ ზინაიდა კვაჭაძეს. იყო სხვა გამოხმაურებებიც.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თავის ანგარიშში გაზეთს წინასწარი დასკვნები არ გამოაქვს. დასკვნების გამოტანა კომისიის საქმეა. მისი მუშაობა იმდენად მნიშვნელოვანია ქართველი ერისათვის, ვერავინ გაბედავს ტენდენციურობა გამოვალინოს ან პოზიციის წინასწარი და ნაჩქარევი გამოცხადებები ხელი შეუშალოს მას. დიახ დასკვნები და შენიშვნები მომავლის საქმეა, როცა კომისიის მუშაობა საბოლოოდ დამთავრდება და ბოლო სიტყვაც ითქმება.

გაზეთის დღევანდელი პოზიცია კი ასახულია მის მეოთხე გვერდზე დაბეჭდილი ვახტანგ გოგუაძის წერილისათვის გაკეთებულ სარედაქციო მინაწერში.

შეიქმნა მთავრობის კომისია

ნოვი-უზენი (ვურიევის ოლქი), 23 ივნისი. **(საკდესის კორ.).** ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საკითხთა განსახილველად და გურიევის ოლქის ქალაქ ნოვი-უზენის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

ქალაქსა და ახლომდებარე დაბებში რთული ვითარებაა, მაგრამ კომენდანტის საათის შემოღების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად ჩაცხრა. ახალი მსხვერპლი არ არის. მუშაობენ, მართალია არასრული დატვირთვით, ტრანსპორტი, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოები, ობიექტები, რომლებსაც სასარსებო მნიშვნელობა აქვთ ქალაქის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ოლქის ხელმძღვანელობის თხოვნით ნოვი-უზენში ჩამოვიდა ასამდე ალმაათელი და ყარაგანდელი მძღოლი, რომლებმაც შეცვალეს ის ადგილობრივი შოფრები, ვინც უარს ამბობს საჭეს მიუჯდეს.

მწვავე კონფლიქტის წარმოშობის თავიდათავი ის არის, რომ უაღრესად ხელმოშვებულია ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურა. და ამაში მნიშვნელოვანწილად მიუძღვით ბრალი სსრ კავშირის ნავთობმრეწველების სამინისტროს, ზოგიერთ რესპუბლიკურ უწყებას.

მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ ქალაქის ხელისუფალთ, რომელთაც მისდიოდათ შრომელთა მრავალი სგნალი და საჩივარი ნოვი-უზენში მიმდინარე დეფორმაციებთან დაკავშირებით, არავითარი კონკრეტული ღონისძიება არ უხმარიათ ვითარების გამოსასწორებლად, უფრო მეტიც, სიტუაციის „მომწიფების“, ხოლო შემდეგ დაწყებული უწესრიგობის დროს პარტიის საქალაქო კომიტეტი (ე. კ. კუმისკანლიევი) და საქალაქო აღმასკომი (ა. ვ. კურჩიჩვი) მიუტევებელ არხეინობას იჩენდნენ და საბოლოო ანგარიშით უძლურნი აღმოჩნდნენ. განზე გადგა გაერთიანება „მანღიშლაყნავთობის“ ხელმძღვანელობაც გენერალური დირექტორის ნ. უ. ბეკბოსინოვის სახით.

ამჟამად ხორციელდება ღონისძიებანი ქალაქის დასახმარებლად, კერძოდ, სასურსათო და სამრეწველო საქონლით მოსახლეობის მოსამარაგებლად, კომუნალური მეურნეობის აწყობილი მუშაობის მოსაგვარებლად, მთლიანად სოციალური სფეროს გასავითარებლად, აგრეთვე ჯეროვანი საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

მიღებულია გადაწყვეტილება დაიხუროს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროს კოოპერატივების ნაწილი. კომპეტენტურ ორგანოებს დაევალათ სერიოზულად გაერკვნენ ქალაქში საპასპორტო რეჟიმის დარღვევის, მოქალაქეთა უკანონო საფუძველზე ჩაწერის, ბინების რიგგარეშე მიცემის ფაქტებში, ანალგაზრდობის შრომითს მოწყობაში. მუშავდება სხვა მტკივნეული პრობლემების გადაჭრის გზები. პირნი, ვისაც ბრალი მიუძღვის დაშვებულ ნაკლოვანებაში, მკაცრ პასუხისმგებლობაში მიეცემიან.

გაიმართა პლენუმი

ალმა-ათა (საკდესი). 22 ივნისს გაიმართა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა გაათავისუფლა გ. ვ. კოლბინი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ მის არჩევასთან დაკავშირებით.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ნ. ა. ნაზარბაევი, რომელიც ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. ჩებრიკოვი.

ჟურნალისტური გამგზავნებისათვის, მოქალაქეობრივი მამაცობისათვის...

იური როსტეზე წერა ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ, გგონია, ყველაფერი იცი კოლეგის, როგორც პროფესიონალის შესახებ მისი ლირიკული ჩანახატებითა და პრობლემური ნარკვევებით, მწვავე რეპორტაჟებითა და კორესპონდენციებით დღის საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც იბეჭდებოდა ჯერ „კომსომოლსკაია პრავდაში“, ამ ბოლო წლებში კი „ლიტერატურნაია გაზეტაში“. ძნელია იმიტომ, რომ ჟურნალისტური „სამზარეულოს“ დეტალებს რომ არკვევ, გეშინია არ გამოგრჩეს მთავარი, როცა ლაპარაკობ რეპორტიორზე, რომლის სახელს დღეს ასეთი მადლიერებითა და პატივისცემით წარმოთქვამენ საქართველოში.

ჰოდა, იური როსტის პიროვნებაში მთავარი არის დიდი მოქალაქეობრივი და პროფესიული მოვალეობის გრძნობა, რომელიც უკვე არაერთხელ ღირსეულად გამოავლინა მან ჩვენი რესპუბლიკის, მისი ხალხის მიმართ. ასე იყო იმ დღეებშიც, როცა სვანეთს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. ასე იყო თბილისში 9 აპრილის ტრაგიკულ ღამესაც — მან პირველმა გაგვაცნო ამაღლებული ფოტოკადრები და პუბლიკაცია, რომლებმაც გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე ზედმეწევნით ასახეს მთავრობის სახლის წინ მოედანზე მომხდარის მთელი საზარეონა.

„ლიტერატურნაია

„თურქი მესხების“ პრობლემის ირღვევა

ჩვენი გაზეთი ინყებს ნერილების ბეჭდვას „თურქების პრობლემის“ თემაზე, რათა საშუალება მივცეთ მკითხველებს წარმოდგენა ჰქონდეთ ამ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე რეალურ ვითარებაზე.

რა თქმა უნდა, რედაქცია ყოველთვის როდი იზიარებს და ეთანხმება ყოველი ავტორის აზრს და შეხედულებებს, მაგრამ აძლევს მათ შესაძლებლობას გამართონ პოლემიკა ჩვენი ერისათვის ამ საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებზე.

ვინ არიან „თურქი მესხები“; სად არის მათი სამშობლო? საიდან, როგორ და როდის აღმოჩენენ ისინი მუა აზიასა და ყაზახეთში?

თუ ჩვენს საკავშირო პრესას, რადიოსა და ტელევიზიას უყოყმანოდ მივენდობით და ყველა მათს განცხადებას უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მივიჩნევთ, ეს არის მცირერიცხოვანი ხალხი („მალენკაია ხაროდნოსტ“), რომელიც დიდი სამამეული ომის წლებში, კერძოდ 1944 წელს, სტალინის ნაციონალისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა და შობლიურ საცხოვრისიდან აყრილი, შეგროვებული და შევიწროებული იქ აღმოჩნდა, სადაც ამჟამად გეოგრაფიარ, ცივილიზებული საზოგადოებისათვის წარმოუდგენელ ვანდალურ თავდასხმებს განიცდის.

ამ „თურქ მესხებს“ ჩვენი პერიოდული პრესა, რადიო და ტელევიზია ხან „მესხეთელ თურქებს“ უწოდებს, ხან უბრალოდ „თურქებს“ და ხანაც „მესხებს“.

იმტკბრივ ახლა თავი და გაიგე, რომელი რომელია!

უზარმაზარ საბჭოთა კავშირში, ბრესტიდან ვიდრე წყნარ ოკეანემდე, დღემდე არ გამოჩნდა კაცი, ვინც ხელში კალამს აიღებდა და საკავშირო მკითხველს საკავშირო პრესის მეშვეობით ამცნობდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არ მოიპოვება არც ერეანა მესხეთი, რომელთა შვილები შეიძლებოდა მესხეთელებად მოგვეხსენებინა და ვერც „მესხეთელ თურქს“, მით უფრო „თურქ მესხს“ იპოვნინთ მსოფლიოს ხალხთა ყველაზე უფრო დაწვრილებით სიაში.

ის ენით აუწერელი უბედურება, ამ სახელწოდებებში ნაგულისხმევი ხალხის თავზე რომ დატრიალდა, გაცილებით ადრე დაიწყო და კატასტროფიულად განვითარდა, ვიდრე ი. სტალინი ამ ქვეყნად გაჩნდებოდა და თავის „ნაციონალისტურ პოლიტიკას“ შეიმუშავებდა.

სტალინს ყველაფერი შეიძლება მიაწერო და დაბრალო კაცმა, მაგრამ „ნაციონალისტობა“ ისევე შორსაა მისი მსოფლმხედველობისაგან, როგორც ცა და დედამიწა. თუ სტალინის მსოფლმხედველობისა და ცხოვრებისეული პრაქტიკის ამ მხრიდან განხილვა მოგვიწადინებია, მას მხოლოდ დიდმპყრობელური შოვინისტი შეიძლება ეწოდოს და არა ნაციონალისტი, ვინაიდან არც ერთი მცირერიცხოვანი ერის, მათ შორის ქართველობის, ეროვნული ინტერესები მას თავისი ზრუნვის საგნად არასოდეს არ გადაუქცევია. პირიქით, სტალინი მუდამ და ყოველთვის ძლიერი, გაბატონებული ერის, კერძოდ, რუსი ერის პპოლოგიტად და წარბშეუხრელ დამცველად გამოდიოდა და შოვინისტური ძალდატანებით პატარა ერებში ყოველივე რუსულისადმი წარბშეუხრელ მორჩილებას ნერგავდა. ერთი სიტყვით, ამ საკითხში ის იმავე პოზიციას ადგა, როგორ პოზიციასაც ჩვენს დღეებში არაფორმალური გაერთიანება „პამიატი“ წევრები ადგანან.

ჟურნალისტები და მაღალი თანამდებობის პირები, „თურქი მესხების“ პრობლემას ამა თუ იმ ასპექტით რომ ეხებიან, წინასწარ შეთანხმებულებივით გვერდს უვლიან მათს ეროვნულ წარმომობას და სადაურობას, მხოლოდ ყოფად და ბუნდოვნად აღნიშნავენ, სამართლიანობა მოითხოვს, ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაკბარულნიო. კარგ დროს არ გაგვახსენდა? ნეტავი აქამდე სად ვიყავით?

მაგრამ სად არის ეს იდუმალებით მოცული „ისტორიული სამშობლო“, მესხეთი, საიდანაც მისი მკვიდრი მოსახლეობა, „მალენკაია ნაროდნოსტ“, ნაციონალისტი სტალინის ბრძანების თანახმად აჰყარეს და ყაზახსტანისა და შუა აზიის უდაბნოებში ჩაასახლეს? დავიჯერო, მართლა არავინ იცის, რაზე და ვიზეა ლაპარაკი?

როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ამაოდ დავშვრებით, თუ „თურქი მესხების“ ისტორიულ სამშობლოს, მესხეთს, საბჭოთა კავშირის ან მსოფლიოს რომელმე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რუკაზე დავუწყებთ ძებნას, ვინაიდან არ არსებობს აკეთი ქვეყანა. არსებობს ქვეყანა. საქართველო, რომლის ისტორიული ტერიტორია რამდენიმე შემადგენელ ტერიტორიულ ნაწილს მოიცავს. საქმეში ჩაუხედავთა თუ განზრახ ყურმოყრუებულთა გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი ამ ნაწილთაგანია მესხეთი, უკეთავი ზოგა რუსთაველის შობელი. კუთხე, ან სხვანაირად, სამხრეთ საქართველო, თურქეთის უშუალო მოსაზღვრე კუთხე საქართველოსი.

მესხეთის ქართველ მოსახლეობას, მრავალი საუკუნის განმავლობაში მხარის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას რომ შეადგენდა, მესხები ეწოდებოდა და დღესაც ასევე ეწოდება. მესხობა, მესხეთის მკვიდრობა მათ ხელს არ უშლიდა და არც დღეს უშლით ხელს იყვნენ ეროვნებით ქართველები, განუყრელი ნაწილი ქართველი ერისა, ისევე როგორც ქართველები, კახელები, იმერლები, მეგრელები, გურულები, აჭარლები, სვანები, თუშ-ფშავ-ხევსურები და სხვ.

მსგავსად სხვა ქართული ტომებისა, მესხები უძველესი ქრისტიანი ტომია. ქრისტიანობა სანახევროდ დაცარიელებულ ქართულ სოფლებში, სადაც მოსახლეობა მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა, ვითომდა ხალხის გასანათლებლად ხელისუფლებმა ჯამეები გახსნეს და ქართველი ბავშვები აიძულეს თურქულად ესწავლათ და ელაპარაკათ. ყოველივე სხვა ეროვნულთან ერთად იდევნებოდა ქართული კათოლიკური ეკლესიაც, ვინაიდან იქ ქართული მღვდელმსახურებისა და წარვა-ლოცვის უფლება არავის აძლევდნენ, მართლმადიდებელი ქრისტიანი კი ერთობ ცოტაღა იყო. საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცის მარჯვენით ნაშენები ეკლესია-მონასტრები, ქარხული კულტურის კერები, დღესდღეობით „ქვაბ ავაზაკთად“ რომ ქცეულიყვნენ, ამაოდღა ელოდნენ თავიანთ მრეველს.

ბაპმადიანი მესხების ეროვნული დისკრიმინაცია და ხელოვნური გადაგვარება არც 1918 წლის 26 მაისს და არც საქართველოში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლის შემდეგ შეწყვეტილა. პირიქით, მეხს ბავშვებს აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნეს და საგნების მასწავლებლებიც აზერბაიჯანიდან მოიწვიეს. ამას სჩადიოდა არა სხვა ვინმე, არამედ თვით ქართველობა, საქართველოს განათლების ორგანოები, ყალბად ფიგურებული ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის იდეით რომ ხელმძღვანელობდა. იქნებ ღირდა ამ კონტექსტში გვეხსენებინა მარიამ ორახელაშვილი, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, რომელიც 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, მაგრამ ამჟამად რეაბილიტირებულია; როგორც უდანაშაულო.

აზერბაიჯანულ სკოლადამთავრებული მესხი ახალგაზრდა უმაღლესი განათლების მისაღებად არა თბილისში, არამედ ბაქოში მიდიოდა, ხოლო იქიდან ყოველ-ივე ქრისტიანულის, ყოველივე ქართულის წინააღმდეგ ამხედრებული ბრუნდებოდა.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, ბუნებაში არ მოიპოვება არავითარი „თურქი მესხი“, რასაც ასე გფფაციებთნ, ვერ გამიგია, რა მიზნით ამკვიდრებს და ნერგავს საკავშირო პრესა და რადიო-ტელევიზია. არიან თურქები, ოდესღაც დამპყრობ ურდოებად მოსულნი და შემდეგ დამკვიდრებული საქართველოს მიწა-წყლის ამ ნაწილში — მესხეთში, საიდანაც შემდეგ, 1944 წელს, ისინი ხელმეორედ აჰყარეს და გადაასახლეს. არიან აგრეთვე მაჰმადიანი მესხები, ქართველები, რომელთა თურქად მოხსენიება მკრახელობა თუ არა, აგნის სრული უცოდინარობა მაინც არის.

საქართველოში ჩვენ ვხმარობთ ტერმინს „მაჰმადიან მესხს“, რათა ამით ის ქრისტიან მესხისაგან განვასხვავოთ.

1944 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან ღამეს მესხეთში დაბანაკებული ქართული დივიზია, რომელიც აქ ქერჩიდან დაბრუნდა შესავსებად და შემდგომი სამსახურის გასაწევად, ჯავახეთის მტკვრის ვიწრო ხეობაში შემოზავებული ამერიკული სტუდებაკერების მძლავრი მოტორების გეგუნგა გაალვიძა. მე, ამ სტრიქონების ავტორი, სწორედ იმ დივიზიაში გახლდით და ყოველივე, რაც მაშინ საკუთარი თვალით ვიხილე და ყურით გავიგონე, გუშინდელ დღესავით მახსოვს. ხეობა და მთელი მისი შემოგარენი, სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, უთვალავი პროექტორის შუქით გაეჩიროდნენთან. მანქანების გნიასი იდგა. ვინ უნდა ყოფილიყო? თუ ომალები დაგვეცნენ, საბრძოლო განაგში რად არ ცხადდებოდა? ლოგინიდან წამოცვენილი საცვლებისამარა ჯარისკაცები ყაზარმის კარს მივაწყდით, რათა გარეთ გავსულიყავით და დაგვენახა, რა ხდებოდა იქ. ნურას უკაცრავად! კარის მარჯვნივ და მარცხნივ შავბოხიანი, თბილად ჩაცმული უცხო სამხედრო პირები იდგნენ, ავტომატები მოემარჯვებნთ და უსმოდ გვანიშნებდნენ, უკან გავბრუნებულიყავით და ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოჩენისაგან თავი შეგვეკავებინა.

მხოლოდ მეორე დღეს შეგიტყვეთ, რომ ეს კაზაკებისაგან შემდგარი სპეციალური სამხედრო ნაწილი იყო, რომელსაც საგანგებო დავალების შესასრულებლად იყენებდნენ. მეორე დღეს შეგიტყვეთ აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი დივიზია, ნოემბრის იმ ავად მოსაგონარ ბნელ ღამეს გულის ძილით რომ ეძინა, ალყაშემორტყმული იყო. ჩვენ, ქართული ეროვნული დივიზიის მეორეს, აქ საბჭოთა ქვეყნის სამხრეთ ზღუდეებს რომ ვიცავდით, არ უნდა გვენახა ის, რაც იმ ღამეს მშობლიური მშსხეთის მიწაზე ხდებოდა. ალყა მხოლოდ გამთენიისას მოგვხსნეს. ამ დროისათვის ათასობით სატვირთო მანქანიდან, ღამეს რომ დღესავით ანათებდნენ და მძლავრი მოტორების გუგუნ-გრიალით იქაურობას იკლებდნენ, ერთიც აღარად ჩანდა.

შეგვზარა დაცლილმა სოფლებმა, უპატრონოდ მიტოვებული ძაღლების ყმუილმა, კარმოღიავებულმა ჭოხებმა, დაფეთებული ქათმების კრიახმა.

ეს გახლდათ კიდევ ერთი ტრაგიკული მოგონება მესხების, იგივე მაჰმადიანი ქართველების, და აქვე მცხოვრები დამპყრობელთა ნაშიერი თურქების ცხოვრებაში, რომელთა სასწრაფოდ აყრა და უზარმაზარი ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლება საღღაც შორს გადაწყდა და ამ გადაწყვეტილებას თვით მამა-ღმერთიც ვერ შესცვლიდა. ათასობით ადამიანის საცხოვრისიდან აყრას და გზაზე დაყენებას ერთადერთი ბნელი ღამე დასჭირდა. საგანგებოდ გაწვრთნილ ჯარის ნაწილს თუ შეხვერთს. ოპერატიულობას ეს სიმარჯვე ვერ დაუწუნებდი. მან დაუჯერებლად მოკლე დროში მოახერხა სარდლობის დავალების შესრულება, თანაც უმტკივნეულოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და მსხვერპლის გარეშე!

იქნებ, აქ არ იყოს საჭირო იმის გახსენება, თუ გზაში, მტკრის ხეობიდან აყახსტანისა და შუა აზიის ედაბნოებამდე, რამდენი ბავშვი, შობიარე ქალი და დაკრდომილი მოხუცებული დაიღუპა, როგორ არ აძლევდნენ ნებას ჭირისუფლებს თავიანთი მიცვალებულები დაემარხთ, როგორ აროვებდნენ ახალ მკვდრებს სადგურებში და ყველას ერთად ერთ საერთო ორმოში წყიმა-უკუღმა როგორ ყრიდნენ.

დანიშნულების ადგილებამდე, სადაც რაფიკ ნიშანოვს თუ დავუჯერებთ, ჩამოსახლებულ „თურქ მესხებს“ უზბეკები ძმური სტუმართმოყვარეობით შეხვედნენ, ბევრმა ვინმემ ვერ ჩააღწია. ეს „ბევრი ვინმე“ რამდენიმე ათასი ადამიანთ განისაზღვრებოდა.

რაფიკ ნიშანოვს, ეტყობა, არც კი უკითხავს, ვინ იყვნენ ეს უბედურები, აქეთ რომელმა ქარმა თუ ღვთის რისხვამ გადმოყარა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ახლა მინც გამოთქვამდა გულისტკივილს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელზედაც ის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ამაოდ მიაჩნია ზოგიერთს, რომ მესხების თავზე დატეხილ ენით გამოუთქმელ უბედურებას სანერაზენი საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ინტელიგენცია, გულგრილად შეხვდა. სანამ დიქტატორი ცოცხალი იყო, გადასახლებულთა რეაბილიტაციისა და შინ დაბრუნების პრობლემის წამოჭრას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ის საქმეს ვერას არგებდა, საკითხის წამომჭრელისათვის კი საბედისწეროდ დამთავრდებოდა. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა სტალინი, თვით მესხებმაც და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმაც არაერთგზის მიმართეს შთავრობას როგორც თბილისში, ასევე მოსკოვშიც და მოითხოვეს, ჩვენს თვალწინ დატრიალებული ისტორიული უსამართლოსა ნაწილობრივ მაინც გამოსწორებულიყო.

პრობლემის სასიკეთოდ გადაწყვეტას ხელს უშლიდა ორი გარემობა: ჯერ ერთი ის, რომ გადასახლებულთ გადასახლების ადგილიდან ფეხის თავისუფლად მოცვლის უფლება არა ჰქონდათ, ეს უფლება მათთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უნდა დაეკანონებინა, და მეორე ის, რომ მიწებზე, 1944 წლის ნოემბრამდე მათ რომ ეცვათ, აგრეთვე ძალით გადმოსახლებული ახალი მოსახლეობა ცხოვრობდა. აგვეყარა ის მოსახლეობა? ერთხელ უკვე ჩადენილი ბოროტება ახალი ბოროტებით დაგვემძიმებინა?

მშობელ ქვეყანაში დაბრუნების სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ მესხებმა თავიანთი ნაფუძარზე დაბრუნების მოთხოვნა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში დასახლების მოთხოვნით შეეკვლეს, რასაც ქართველი ინტელიგენცია და „საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა, პირადად ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე, თანაგრძნობით მოეკიდა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე თანამემამულე მესხების გეგმაზომიერ ჩამოსახლებას შეუდგა.

ასე გაჩნდნენ მაჰმადიან მესხთა სოფლები ხონის, ოზურგეთის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის და სხვა რაიონებში. ჩამოსახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, როგორც კი ამის ოფიციალური ნებართვა ზემოდან მიიღეს, პირადი განცხადებისა და სათანადო საბუთების საფუძველზე, დაიბრუნეს თავიანთი ისტორიული გვარები და ეროვნება, ბავშვები ქართულ სკოლაში შეიყვანეს და ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქის ცხოვრებას ეზიარნენ.

და აი, მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი, დაიწყო „თურქ მესხთა“ ვანდალური რბევა და ხოცვა-ყლეპა ფერღანის ოლქში, უზბეკისტანში. საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს ახალარჩეულ თავმჯდომარეს რაფიკ ნიშანოვს მიაჩნია, რომ ხოცვა-ყლეპა უბრალო ინციდენტით დაიწყო. „თურქი მესხი“, რომელიც ბაზარში ხენდროს ჰყიდდა, და უზბეკი მყიდველი ვერ მორიგდნენ ხენდროს ფასში...

სამწუხაროა, რომ სისხლიანი რბევის ეს მოტივი ნიშანოვმა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოიყვანა და, რადგანაც დარბაზში მის წინააღმდეგ პროტესტი არავის გამოუთქვამს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ყრილობამ სარწმუნოდ სცნო.

ნიშანოვს, მაშინ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რასაკვირველია, არ უთქვამს, რომ დიდი თუ მცირე შეტაკებები უზბეკებსა და „მალენკაია ნაროდნოსტის“ წარმომადგენლებს შორის წინათაც ბევრჯერ მომხდარა, მოხდარა არა მარტო ხენდროს სეზონზე, რომელშიც დაზარალებულ მხარედ ყოველთვის „თურქი მესხები“ გამოდიოდნენ, მაგრამ ამისათვის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მზით გამთბარ რესპუბლიკაში სერიოზული ყურადღება არავის მიუქცევია.

დაიღუპა ასზე მეტი ადამიანი, თითქმის ყველა „თურქ მესხთაგან“, დაობლდნენ ბავშვები, დაიწვა ათასობით სახლი და ავტომანქანა, „თურქ მესხებს“ რომ ეკუთვნოდა, გამძვინვარებულ მარბიელებს, თავიანთი ველური სისასტიკით კოქლი თემურის ურდოებსაც რომ გადაეჭარბეს, წინ ვერა ძალა ვერ აღუდგა, მრავალი დღის მანძილზე სისხლმოწყურებული ხალხმრავალი ბრბოს შეჩერება და დაოკება ვერ შესძლო.

ეს მაშინ, როდესაც ფერღანის ოლქში და მის გარშემო, როგორც პრესა და რადიო-ტელევიზია იუწყება, შინაგანი სამსახურის ჯარებისა და მილიციის დიდი შეიარღებული მოქმედებდნენ. მათ თურმე დაირცხვინეს. თბილისში დატრიალებული ტრაგიკული ამბების შემდეგ გამხეცებული მრავალათასიანი ბრბოს წინაშე უიარაღოდ გამოვიდნენ, ასე განსაჯეთ, ალმასივით ალესილი სასანგრე ნიჩბებიც კი არ იგულეს.

ამავე დროს ყოველ გზაჯვარედინზე გაისმის მაღალი თანამდებობის პირთა და ეურნალისტთა ყოვლად უპასუხისმგებლო და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული განცხადებები, რომ შუა საუკუნეების დროინდელ ამ სამარცხვინო აქციაში თვით უზბეკი ხალხი არ მონაწილეობს, რომ არ შეიძლება ეს ერებს შორის ჩამოვარდნილ სისხლიან ეფიციანობად და კინკლაობად მივიჩნიოთ. მაგ სიმართლით იარეო, იტყოდნენ მსგავს შემთხვევაში ჩვენი ძველები. მართლაც და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. კიდევ კარგი, თვით „თურქ მესხებს“ რომ არ დადანაშაულებენ, რომ არ წერენ და ქადაგებენ, აყალმაყალიც მაგათ წამოიწყეს, ხალხიც მაგათ დახოცეს და ათასობით სახლი და ავტომანქანაც მაგათ გადაბუგეს.

ახლა უკლებლივ ყველა ხვდება, რომ რაღაც უნდა ვიღონოთ, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, რადგანაც არ შეიძლება ასე უსასრულოდ გაგრძელდეს. უზბეკი ექსტრემისტების დროებით დამოშმინება, თუნდაც სამხედრო ძალისა და უწყვინარი რეზინის ხელკეტების გამოყენებით, სანდო სრულებითაც არ არის და დამშვიდების უფლებას არამც და არამც არ იძლევა. კაცმა არ იცის, ყოველად გაუგებარი შურისძიების გრძნობა კიდევ ერთხელ როდის იფეთქებს ფანატიზმით შეპყრობილ უმართავ ბრბოში და საზოგადოებას კიდევ უფრო ძნელად გადასაჭერი რა პრობლემების წინაშე დააყენებს. ამიტომაც მიღებულია გადაწყვეტილება. დაჰყენენ არა მრავალმილიონიანი უზბეკი ხალხის, არამედ რამდენიმე ათასი ექსტრემისტი უზბეკის ნების, თავიანთი საქციელით მშვიდობისმოყვარე უზბეკ ხალხთ ვითომდა რომ გამოეთიშნენ და ახლა უზბეკებად აღარ იწოდებიან, და „თურქი მესხები“ სადმე სხვაგან გადასახლონ, ეროვნების გარეშე მყოფი ექსტრემისტების გავლენის სფეროს მოაშორონ.

მსგავსი სიტუაცია ჯერ საბჭოთა კავშირის ისტორიას არ ახსოვს. საით მივყეფარო ულმობელ ლოგიკას? უკლებლივ ყველა რესპუბლიკას, მათ შორის საქართველოსაც, ჭარბად მოეპოვება არამკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობის, „რესპუბლიკისათვის სახელწოდების მიმეცემი“ ქართველების, სასიცოცხლო სივრცე უკავია. როგორ გვიბრძანებენ მხსნელი გადაწყვეტილების მიმღენი, ჩვენც, ქართველებიც, რკინის დადანაჭრებით, კეტებით, ქვებით, ჯაჭვებით, დანებით, ნაჯახებით, ცელებით, მილიციისათვის წარმომეული იარაღით შევეყოთ საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ არაქართველთ და ამ გზით დავიბრუნოთ უამისოდაც ერთი ხელისდადება ჩვენი სასიცოცხლო სივრცე?

ხედავთ, მკითხველო? ეს წარმოუდგენელ უგუნურებად და ბარბაროსობად გამოჩნდა, როგორც კი სხვისი ცოცხალი მაგალითი იობისებურად მომთმენ საქართველოს მივუსადაგეთ. მაგამ ეს, როგორც ჩანს, უგუნურება და ბარბაროსობა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში ყოფილა, რადგანაც სხვაგან, სხვა რესპუბლიკებში, მაგალითად, უზბეკეთში, სავსებით ნორმალურ ქმედებად გამოიყურება და მინც და მინც არავის განსაკუთრებულ აღშფოთებას არ იწვევს.

აჰა-იქ ეონავს ხმები, რომ შექმნილი ტრაგიკული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი „თურქი მესხების“ მათს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაა. მაგრამ კერძოდ რომელია ეს „ისტორიული სამშობლო“, ამის გამეფაგენებას მიზეზთა და მიზეზთა გამო ჯერჯერობით ყველა გაუბრის.

ქართველი ხალხი და საქართველოს მთავრობა წლების განმავლობაში შეძლების კვალობაზე გეგმაზომიერად ახორციელებდა თავის ჰუმანურ მოვალეობას, დაბრუნებულ მესხებს წინასწარ სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, მთელ სოფლებს უშენებდა და ნორმალური ცხოვრების ყოველგვარ პირობებს უქმნიდა. ეს საშვილიშვილო საქმე ეროვნული ინტერესებისა და სიყვარულით კეთდებოდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უაღრესად მცირემიწიანი რესპუბლიკაა. მოსახლეობის მექანიკურმა მატებამ ომისშემდგომ წლებში და ბოლო ხანს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა ის თითქმის გამოუვალი პრობლემების წინაშე დააყენა. ადგილმოსანაცვლებელი და ხელახლა დასასახლებელი გაუხდა უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით ოჯახი სვანეთიდან და აჭარიდან, რაჭიდან და ზემო იმერეთიდან, ათი ათასობით ჰექტარი სავარგული დაიღუპა და მეურნეობისათვის სამუდამოდ გამოუსადეგარი გახდა.

ის, ვისაც საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის სიკეთე სწადია და არ უნდა მისი მიწა-წყალი ძალად თავზე მოხვეული გაუგებრობის ასბარეზად იქცეს, მიზნად არ დაისახავს, უზბეკეთიდან იძულებით აყრილ ადამიანთა მასას, ოთხასი ათას კაცს, საქართველოს კარი გაუღოს და ჰუმანური გადაწყვეტილების საფარველით მისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსახლება შემოგვაწეროს. საქართველო კვლავაც არ იტყვის უარს თავისი ღვიძლი შვილების — მაჰმადიანი მესხების შინ დაბრუნებაზე, როგორც არც აქამდე ამბობდა, მაგრამ ეს მისი შინაური საქმეა და როგორც ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს, მას თვითვე მართებს თავისი შინაური საქმეების გადაწყვეტა.

აფერუმ, ექსტრემიზმო! რა ბევრი რამ შეგძლებია. შენ თვით მთელი კავშირის ძალისხმევაც ვერ გიმკლავდება. ბალომა თქვა, გამდის და ვტირიო. შენც გაგდის. რა გაეწყობა. მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, ვაითუ კოკა წყაროზე გატყდეს!

რევაზ ჯაფარიძე.

ავტორის თხოვნით სტატიის მონორარი გადაირიცხება აჭარაში სტატიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გამომძიებელი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიისაგან

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ, რომელმაც ქ. თბილისში მომხდარი ამბების გამომძიებელი კომისია შექმნა, მასობრივი ინფორმაციის მასაზეშეულებებს მიმართა წინადადებით, თავი შეეკავებინთ ამ ამბებისადმი მიძღვნილი მასალების პუბლიკაციისაგან, სანამ კომისია მუშაობას დაამთავრებდეს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მიიღებდეს შესაბამის გადაწყვეტილებას მისი შუამავლობა შედეგების გამო.

კომისია შეგახსენებთ ამ გადაწყვეტილებას და რასაუბლიკის ხელმძღვანელ ინფორმაციის საშუალებათა ორგანიზაციებს მოუწოდებს ... 1989 წლიდან ... ინფორმაციის საშუალებებს ... ბრძოლა ... ინფორმაციის და შეფასებითი მოსაზრებების, კომენტარების და ა. შ. გამოთქმისაგან, სანამ კომისია მუშობას დამთავრებდეს.

ფერილი „კომუნისტს“

მოვლენებს თავისი სახელები ვუწოდოთ

ბატონო რედაქტორო! როდესაც გარდაქმნის იდეამ ამოქმედება იწყო, ერთხანს „რევოლუციური“, ისე, სიტყვისათვის, გამაძლიერებელი ეპითეტის მნიშვნელობისა გვეგონა. ახლა კი ვრწმუნდებით, ეს სიტყვა ტყუილად არ ყოფილა მოხმობილი. სად გინახავთ უმსხვერპლო რევოლუცია. გაგახსენებთ: გოეთეს ეკითხებიან — რას იტყვით რევოლუციის შესახებ? — მე ძაღს ყოველგვარი რევოლუცია, რამეთუ იგი ერთნაირად სპობს ბორტყა და კეთილსო.

რევოლუციის დაუნდობლობაზე ბევრი რამ თქმულა. ახლანდელი რევოლუცია ინტელექტის რევოლუცია გვინდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ამისთანა მოძრაობას უძრაობა მერჩიენაო, — ამას მხოლოდ ობივატელი ამბობს. ვინც სულის ამოთქმისთვის, ჭეშმარიტ ინტელიგენტური არსით ცხოვრობს, მისთვის „არა პერიფთა ცხოვნდების, არამედ სიტყვითა“.

„კომუნისტის“ 1936, 1937, 1938... წლების ნომრები მიფურცლავს. კარგა ხანს გონს ვერ მოვსულვარ. რამდენი ერისაკცი გაუწირავს, რამდენი ცოდვა უტვირთავს. მოვიდა ახალი ენამდელი, გარდაქმნის ეპოქა, განკითხვის ეპოქა. ...ბა ვინ წარმოიდგენდა ახალი სენაკი, ოზურგეთი თუ სხვანი თავიანთი ნაკვერთხ სახელებს დაიბრუნებდნენ. არ არის ეს უმნიშვნელო რამ. მოვლენებს თავიანი სახელები ერქმევა. კაი სახელიც ამშვენებს მოვლენასა და კაცს.

„კომუნისტი“ ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთია ჩვენში. სტატიის ავტორს პარტბილეთს არავინ უსინჯავს (უპარტიოებიც თანაბარუფლებიანი ავტორები არიან). ვერც ვერავინ აღნუსხავს კომუნისტებისა თუ უპარტიოების ცხოვრების ამსახველ თემებსა და საზღვრებს. იგი უკვე ხალხის ცხოვრებას ემსახურება, კითხულობს რესპუბლიკა, ყველა, ვინც კი ქართული იცის. მოვიდა ჟამი ამ სახალხო გაზეთს იმ რესპუბლიკის სახელი დაერქვას, რომელსაც ის წარმოადგენს. დაე, იქცეს სავლე პავლედ. ეს კიდევ უფრო გაუხსნის ხელს გაზეთს, რომ დაიღწიოს თავი ერთგვარ სოციმო სტილს (საწყენად ნუ მიიჩნევთ, რამეთუ ეს მისი მოვალეობაა). და თუ ერთ დილით გადავშლით გაზეთ „საქართველოს“, ვფიქრობთ კარგი დილა იქნება. მე უკვე წარმოვიდგინე, რომ ეს ასეც მოხდა. ახლა რა მინდა ვუსურვო გაზეთ „საქართველოს“. არაფერი ისე არ სჭირდება დღეს საქართველოს, როგორც ეროვნული თვითცნობიერების რეფლექსია, სწორი პოლიტიკური ტაქტი და ორიენტაცია. ამას ყველანი ვგრძნობთ და მოვუწოდებთ ერთმანეთს — „მოვუხმოთ გონიერებასო“. გამოდის კი ისე, ათასი შეკრებილი რომ ერთდროული ყვირილით აშოშმინებს ერთმანეთს— „სიწყნარე, სიწყნარეო“. უნდა დავიწყოთ თვითანალიზი, თვითკრიტიკა. ძველისძველი ჭეშმარიტებაა: დიდი კაცი თავის დამარცხებას თუ უიფერობას თავის თავს აბრალებს, პატარა კაცი — სხვას. რა ეშლება თუ არ ეშლება მოწინააღმდეგეს, ეს უკვე ვიგეგეთ. ჩვენ არაფერი გვშლება? მაგრამ ამისთვის იქნებ ილიაა საჭირო? მოსე თავის ხალხს მრისხანე მამა იყო. მოგვიხსენებათ, ილია თავის ხალხს მწარე ილასაც გაუწავდა, როგორც თავის შვილს.

ყველანი ვგრძნობთ, რომ ურთულესი ეპოქის შვილები ვართ. XXVII ყრილობის მასალებშიც კი ხშირად ფიგურირებს სიტყვა ეპოკალიფსური. როგორ არასდროს ისეა საჭირო სულიერი საყრდენი, საკუთარი ხალხის ბედიღბლის გაფრთხილება. როდესაც ქრისტე თავის ხალხში დაბრუნდა საქადაგებლად, გაუკვირდა, არ ელოდა, თუ თავისი ერი ასე დაბნელებული დახვდებოდაო, — წერს ჰეგელი. დიდი დაბნეულობა მესიას მოლოდინს უძღოდა წინ ბიბლიური ლოგიკით. ჩვენი ლოგიკით კი ზოგიერთი გადაყირავებული ცნება, ელემენტარული ჭეშმარიტებანი უნდა აღვადგინოთ. ხშირია და ჩვეულებრივი, მშიშარა რომ მამაცს მხნეობას ასწავლის, მექრთამე მორალს გვიკითხავს. ერთ უგვანო თვისებას ავუმხედრდით მეორე უკიდურესობაში ჩავარდნით. ლოიქნელობა რომ უღირსი თვისებაა, ეს კარგად ვიცით. მაგრამ აქ ფორმა და შინაარსი აგვერია ერთმანეთში. მლიქნელობა იმიტომაა საზიზღრობა, რომ კერძო კეთილდღეობისათვის იმცირებს ადამიანი თავს ვიღაცის წინაშე. მაგრამ შენი სამშობლოსათვის თავი დამცირება თუ გმირობა არა, ხშირად აუცილებელი საქმეა. თუ ჩემს ქვეყანას გოლიათებს გავუმზარავ, მტრად მოვიკიდებ ისე, რომ ხელში შურდულიც არ მიჭირავს, ამას რა ჰქვია, სახელი მკითხველმა დაარქვას. ჩვენ ყველამ ვნახეთ, ამას წინათ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიხეილ გორბაჩოვის მიღება. რამ გააგიჟათ გერმანელები ასე: უყვართ ბატონი გორბაჩოვი? ძალიან კარგი. პატივს სცემენ იმიტომ, რომ მათ ეს სჭირდებათ? ე. ი. ჭკვიანი ხალხია. მე მინდა ჩვენ (პირველ ყოვლისა ამ სტრიქონების ავტორი) უფრო ჭკვიანები და პრინციპულები ვიყოთ, რაც მთავარია კუნძსა და მხედარს ერთმანეთში ნუ ავურევთ, სიტყვა „რეალიზმი“ მუდამ თავში უნდა გვიტრიალებდეს.

დღეს დიდი მღელვარე ცხოვრებაა საქართველოში. ძნელია ვინმემ მყარი პოზიცია დაიჩემოს. ოპტიმისტურად რომ გაიღვიძებ, შეიძლება საღამო პესიმისტურად დაამთავარო ან პირუკუ. ღმერთმა დაიფაროს იმნაირი მაშ